ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 2021 №163 (8692) ფასი: 60 თეთრი

ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილის შეთანხმებას ხელს აწერს



გვ.4

„ოცნება“, დღეიდან პირადად ჩემთან გექნება საქმე!“

გიორგი გახარია თბილისის მერობისთვის იბრძოლებს

გვ.2

„ოპოზიციას სერიოზული მხარდაჭერა არა აქვს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ ხალხს ქუჩაში არ უნდა გამოსვლა, მას ვერავინ ვერ გამოიყვანს. ამიტომ ოპოზიციის ვალდებულებაა, სხვა გზები ეძიონ“

„საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი არა, ტაქსებია ვირუსის გამავრცელებელი“

გვ.4

გიგლა ბარამიძე: „წესიერი ოპოზიცია მოედანზე ვერ გამოდის“

გვ.2

„ოცნება“ პრორუსულ ნარატივზე გადავიდა“

იაგო ხვიჩია: „ვადამდელი არჩევნები იმ ხალხს არ აწყობს, ვინც ყველაზე მეტად ყვირის“

„ევროპული სანქცია ფაქტობრივად ამოქმედდა“

გვ.3

რომან გოცირიძე: „არჩევნებამდე პოლიტიკური მიზნით ლარს რომ იჭერენ, მერეც ხომ საჭირო გახდება ფული, გაუფასურების ახალი რეკორდებისაკენ რომ არ გაიწიოს 2-3 თვეში“

ISSN 1987-9385

5 „მეც მცემს და შვილიც ამიმხედრა“ 35 წლის ქალი მამაკაცს ძალადობას აბრალებს

4 ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა

5 „მანანა კვარაცხელია მადრიდში რეკავდა და ყალბ კოვიდპასპორტებს უკვეთდა“

6 ინდოეთში ამოუცნობი დაავადებისგან 50 ადამიანი დაიღუპა, რომელთა უმრავლესობა ბავშვია

„ოცნება“ პრორუსულ ნარატივზე გადავიდა“

იაგო ხვიჩია: „ვადამდელი არჩევნები იმ ხალხს არ აწყობს, ვინც ყველაზე მეტად ყვირის“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ევროპარლამენტარებს შორის ერთგვარი დისკუსიის ფორმატი გაჩაღდა. პრემიერის განცხადებას, რომ საქართველოს საგარეო ვალის აღება არ უნდა და ამიტომ ევროკავშირის დახმარებაზე უარს ამბობს მთავრობა, ევროპარლამენტარები გამოეხმაურნენ და თქვეს, რომ საქართველო დახმარებას ვერც მიიღებდა, რადგან ვალდებულებები არ შეასრულა. ამ განცხადებას პრემიერმა უპასუხა და თქვა, რომ ევროპარლამენტარები მისი უფროსები არ არიან. პრემიერი უფრო შორსაც წავიდა და ისიც კი თქვა, რომ საქართველოს სასამართლო უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ევროკავშირის ზოგიერთი წევრის. როგორ უნდა გავიგოთ პრემიერის ეს განცხადება? რა რიტორიკაა ეს და რას მოუტანს ქვეყანას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ვირჩის“ თავმჯდომარე იაგო ხვიჩია საუბრობს.

– საქართველოს პრემიერსა და ევროპარლამენტარებს შორის ერთგვარი დისკუსიაა. თქვენ რას ფიქრობთ აღნიშნულთან დაკავშირებით, მართლა უფროსობა უნდოდათ მათ, როგორც ღარიბაშვილმა თქვა?

– ზოგადად, ევროპელებს უფროსობა უნდოდათ ჩვენთან, სასამართლო თავისუფალია და ა.შ. – ეს არის წმინდა რუსული ნარატივი და ეს ახლავს პუტინის რუსეთის პოლიტიკას. ამბობენ, თითქოს ევროპა მათ შიდა საქმეებში ერევა, ადამიანების თავისუფლებაში ერევა და მათი დამონება უნდა. სწორედ ესაა რუსული ნარატივი. ჩემი აზრით, ახლა რასაც პროდასავლური მედია და პოლიტიკური პარტიები უნდა აკეთებდნენ, არის ის, რომ ამაზე ხდებოდეს აქცენტირება, იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ გადავიდა ღიად პრორუსულ ნარატივზე, რომ ევროპელებს უნდათ ჩვენი დაპყრობა და ა.შ.

ამბობენ, რომ ევროპელებს უნდათ, სასამართლო წაგვართვან, რაც არასდროს გვქონია. ის ხალხი ცდილობს, დაგვეხმარონ იმაში, რომ ნორმალურად განვვითარდეთ. ნაცვლად იმისა, რომ მადლობა ვუთხრათ, საუბრობენ ხელისუფლებაში იმაზე, რომ ისინი გამოდიან ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც, როგორც გითხარით, იყო პრორუსული ნარატივი და ახლაც ეს ნარატივი გაძლიერებულია. მხოლოდ ამაზე უნდა ველაპარაკებოდეთ საზოგადოებას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გადაუხვია პროდასავლურ გზას და დაჯდა ღიად პრორუსულ გზაზე.

– ასე გგონიათ, რომ ღიად პრორუსულ ნარატივზე ზის „ოცნება“?

– ეს ამბავი, რაც გითხარით, რომ სასამართლოს წართმევა უნდათ და ა.შ. ღიად პრორუსული ნარატივია და, მგონი, ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს მიმართულებაც არ არის ახალი. მეორე საკითხია ის, ვიმსჯელოთ – რუსეთი ღია ზეწოლას ახდენს საქართველოს მთავრობაზე და რუსეთის ჭკუაზე დაიწყეს სიარული თუ ამით გულს ფხანენ პრორუს ამომრჩეველს. ეს სხვა საკითხია.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– არაფერი არ არის გამორიცხული. „ქართულ ოცნებაში“ ასეთი ხალხიც არის და ისეთიც, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ პირველად გაბედა და ქართველ ხალხს დაელაპარაკა ჩვეულებრივი რუსული ნარატივით. რასაც პუტინი აფინანსებს დასავლეთის წინააღმდეგ და ცდილობს, რომ იქ ყველაფერი არიოს, ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ გახდა ამის გამხმოვანებელი.

– თქვენ კი ამბობთ, ისტორიულად არასდროს გვქონია დამოუკიდებელი სასამართლოო, მაგრამ პრემიერი ამბობს, ევროკავშირის ბევრ ქვეყანაზე დამოუკიდებელი სასამართლო გვაქვს და კვლევაზე დაყრდნობით ვამბობ ამასო. თქვენ რის საფუძველზე ამბობთ, რომ დამოუკიდებელი სასამართლო არ გვაქვს?

– მე რის საფუძველზე უნდა ვთქვა?! სასამართლო თუ გაქვს, ის უნდა აკმაყოფილებდეს რაღაც ნიშნებს. თუ ამ ნიშნებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ ის ვერანაირი სასამართლო ვერ იქნება, როგორც არ უნდა განმარტო. სასამართლოს, რომელსაც სახელისუფლებო შტოების ბალანსის დაცვა და კონტროლი არაფრად მიაჩნია და, პირიქით, არსებობს იმისთვის, რომ უზრუნველყოს სისტემა, ის ვერ იქნება სასამართლო. სასამართლოს ფუნქცია არ არის პოლიტიკური კლასის უზრუნველყოფა დიდი ხნით.

– ეს პასაჟიც რუსული ნარატივი ხომ არ არის? რუსეთისგანაც გაგვიგია იმავე ევროკავშირისა თუ აშშ-ის მისამართით და იქ არღვევენ ადამიანის უფლებებს, ხოლო რუსეთის სასამართლო სიმართლის ეტალონია?

– მე კომენტარი ვაკეთო იმაზე, რომ უკვე დეკლარირებული რუსული ნარატივი არსებობს?! საბჭოთა კავშირიც მხარს უჭერდა ამერიკაში დაპატიმრებულ ადამიანებს და ამბობდა, რომ ისინი გასამართლებული არიან პრინციპებისთვის და ასე იცავდა. საბჭოთა კავშირი იცავდა პინოჩეტის დიქტატურასაც და ამბობდა, ჩვენ ვართ კარგებიო.

რუსეთს არასდროს ჰქონია დამოუკიდებელი სასამართლო და, მგონი, არც არასდროს ჰქონია პრეტენზია, დამოუკიდებელი სასამართლო გვაქვსო.

– ევროკავშირთან დისკუსიაში შესვლა ამ ფორმით რამდენად სწორია? ერთია, რომ კრიტიკა მისაღებია და, შესაძლოა, რაღაცაში არ ეთანხმებოდე, მაგრამ, რა ფორმითაც ხდება ეს, რამდენად წაადგება საქართველოს და რამდენად გვიტოვებს შანსს, რომ 2024 წელს ისევ გავაკეთოთ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე?

– არანაირი განაცხადის გაკეთება არ უნდა „ქართულ ოცნებას“ ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით. ცდილობენ, ეს თემა გამოიყენონ პოპულისტური მიზნით. საერთოდ, როდესაც განაცხადს აკეთებ, მნიშვნელობა აქვს იმას, როგორი პოზიციიდან გააკეთებ მას. ამ სიტუაციაში ევროკავშირის წევრობაზე რომ გააკეთო განაცხადი, როდესაც ფინანსურ დახმარებაზე უარს გვეუბნებიან, სასაცილო იქნება. „ქართულ ოცნებას“ ევროპაში კარზე დაკაკუნება არ უნდა. მას უნდა ძალაუფლების შენარჩუნება და შეეკვრებიან ყველას, როგორც ახლა პროპუტინისტურ სენტიმენტებზე თამაშობენ და ევროპა გამოაცხადეს ჩვენი არარსებული სასამართლოს მოწინააღმდეგეებად. სასაცილოა. ეს არის ძალიან დაბალ ნიშნულზე და ფიქრობენ, რომ იმ ხალხზე ექნებათ გათვლა, ვისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს, რუსეთი იქნება თუ დასავლეთი. ამიტომ დაველოდოთ არჩევნებს.

– არჩევნებს უნდა დაველოდოთ. თქვენ ელოდებით თუ არა ვადამდელს, არ ვიცი, მაგრამ ოპოზიციის უმეტესობა ელოდება, ეს მაშინ, როცა პრემიერი ამბობს, რომ სამი წელი არ იქნება არჩევნები და ქვეყანას განვითარების შესაძლებლობა ექნება. აქ ორი პასაჟია მნიშვნელოვანი – ვადამდელის ნაწილი და მეორე. არჩევნებს განვითარების შემაფერხებლად მიიჩნევს პრემიერი?

– სინამდვილეში ვადამდელი არჩევნები იმ ხალხს არ აწყობს, ვინც ყველაზე მეტად ყვირის. ამით არ არიან გულწრფელები და ეს არის პრობლემა. საქართველოს პარლამენტში ოპოზიციიდან შევიდა ხალხი, რომელთაც სინამდვილეში არ უნდათ ვადამდელი არჩევნები. სინამდვილეში, ოპოზიცია მართლა რომ იბრძოდეს ვადამდელი არჩევნებისთვის ეს ასე არ არის. ევროპელები ოპოზიციამაც ჩააყენა რთულ სიტუაციაში, ისევე, როგორც ხელისუფლებამ. მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი არ მოაწერა დოკუმენტს და ამბობს, არ მაინტერესებსო, ხოლო ხელისუფლება აცხადებს, გავდივარ ხელმოწერიდანო. ასე რომ, ოპოზიციასაც არ უნდა რეალურად ვადამდელი არჩევნები.

„ოცნება“, დღეიდან პირადად ჩემთან გექნება საქმე!“

გიორგი გახარია თბილისის მერობისთვის იბრძოლებს

გიორგი გახარია პარტიის „საქართველოსთვის“ თბილისის მერობის კანდიდატი იქნება.

ამის შესახებ გუშინ, 1 სექტემბერს, გიორგი გახარიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიის მერობის კანდიდატების, თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისა და თბილისის საკრებულოში პარტიული სიის წევრების წარდგენისას განაცხადა.

მისივე თქმით, ის ამ ნაბიჯს დგამს პარტიის მერობის სხვა კანდიდატების მიმართ სოლიდარობის ნიშნით, „რომლებსაც უმძიმეს პირობებში უწევთ საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა“.

– მე მინდა, ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს ვუთხრა, დღეიდან, მეგობრებო, თქვენ საქმე გექნებათ პირადად ჩემთან და მე სოლიდარობის მიზნით, თითოეული ჩვენი მერობის კანდიდატის მიმართ, რომლებსაც უაღრესად მძიმე პირობებში უწევთ დღეს ბრძოლა საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დასაცავად, მე ერთი ცალკე აღებული საქართველოს მოქალაქე და თბილისელი ყველანაირი პოლიტიკური კეკლუცობის გარეშე ვაცხადებ, რომ თქვენთან ერთად ვერთვები თბილისის მერობისთვის ბრძოლაში, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისი თქმით, დიდი ოცნება უკეთესი საქართველოსი, დღეს უნდა დავიცვათ ორგანიზაცია „ქართული ოცნების“ დღევანდელი ბოსებისგან.

თბილისს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ღირსებისა და სამართლიანობის შენარჩუნება, სჭირდება კორუფციისა და ნეპოტიზმისგან დაცლილი და სუფთა გარემო და ამასთანავე, ამ ქალაქს სჭირდება დიდი ამბიციები, რომ გახდეს რეგიონში ყველაზე დიდი მეგაპოლისი.

– ჩემი გადაწყვეტილება, პირველ რიგში, განპირობებულია უაღრესად დიდი სოლიდარობის გრძნობით თითოეული ჩვენი მერის კანდიდატობის მიმართ, რომლებსაც უაღრესად უმძიმეს პირობებში უწევთ ყოველდღიურად მუშაობა, იმიტომ, რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში იმისთვის, რომ ღია, კონკურენტულ გარემოში ჩვენს მოქალაქეებს დაუმტკიცონ, რომ ყველაზე უკეთესები არიან.

ეს არის ის სამართლიანი გარემო, რომელსაც ჩვენ ორგანიზაცია „ქართული ოცნება“ გვპირდებოდა წლების წინ. რა თქმა უნდა, ამ წლების განმავლობაში ბევრი მიღწევა იყო და ბევრი რამ შეიცვალა, სწორედ ეს არის ის პასუხისმგებლობა, რატომაც ჩვენ აქ ვდგავართ.

მე ამ ქალაქში დავიბადე, თბილისში გავიზარდე, მე ამ ქალაქის სისხლი და ხორცი ვარ და ბევრზე უკეთესად ვიცი, რა სჭირდება ამ ქალაქს და ისიც კარგად მესმის, რომ დღეს ამ ქალაქს ყველაზე მეტად სჭირდება ღირსებისა და სამართლიანობის შენარჩუნება, ამ ქალაქს სჭირდება კორუფციისა და ნეპოტიზმისგან დაცლილი და სუფთა გარემო, ამ ქალაქს, ამასთან ერთად, სჭირდება დიდი ამბიციები, რომ გახდეს რეგიონში ყველაზე დიდი მეგაპოლისი.

ამ ქალაქს სჭირდება მეგაპროექტები.

ჩვენ კონკრეტულ გეგმას შევთავაზებთ თბილისელებს, როგორ უნდა გახდეს თბილისი პირველი მეგაპოლისი ჩვენს დიდ რეგიონში. ამისთვის ჩვენ უაღრესად სწრაფად სატრანსპორტო კვანძებით უნდა დავაკავშიროთ ერთმანეთთან თბილისი, ლილო, რუსთავი, განვავითაროთ მეტრო, ეს იქნება უაღრესად დიდი ეკონომიკური ენერგიის მატარებელი არა მხოლოდ თბილისისთვის, არამედ, რა თქმა უნდა, რეგიონისა და საქართველოსთვის და ეს ყველაფერი კონკრეტული გათვლებით, დაფინანსებით წყაროებით წარვუდგენთ თბილისელებს თითოეულ უბანში.

მნიშვნელოვანია თბილისის სატრანსპორტო განვითარება, ინფრასტრუქტურა, მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, გონივრული ურბანული მიდგომა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ღირსება და სამართლიანობა. ეს ის გარემოა, რომელშიც თბილისელები იგრძნობენ თავს კომფორტულად და თითოეული ხელისუფლის ვალდებულებაა, პირველ რიგში, იზრუნოს ამ ქალაქის თითოეულ მოქალაქეზე, მის კომფორტულ საცხოვრებელ გარემოზე და, რა თქმა უნდა, სტუმრებზეც, – განაცხადა გახარიამ.

გახარიას პარტიის თბილისის საკრებულოში პარტიული სიის წევრები არიან:

1. ლევან დოლიძე;
2. ზაზა თავაძე;
3. სალომე კობალაძე;
4. გიორგი შარაშიძე;
5. დავით ფარცვანია
6. თამარ (ტატა) ხვედელიანი;
7. ეკატერინე ვეფხვაძე;
8. მალხაზ მჭედლიშვილი;
9. საბა ჯიქიძე;
10. გიორგი სოსელია;
11. თიკო თვალაძე;
12. გიორგი კიკნაველიძე;
13. ზაურ რეხვიაშვილი;
14. ქეთევან ბაკარაძე;
15. ვატო ფაჩულია.

ღარიბაშვილი: „ჩვენი სასამართლო სისტემა ბევრად უსწრებს ევროკავშირის სახელმწიფოების სასამართლო სისტემას“

– საქართველოს სასამართლო სისტემა ბევრად წინ უსწრებს ევროკავშირის მოქმედი წევრების, სახელმწიფოების სასამართლო სისტემას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასამართლო რეფორმაზე საუბრისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორი სასამართლო ჩაიბარა „ქართულმა ოცნებამ“, რის შემდეგაც „არაერთი ხელშესახები რეფორმა განხორციელდა“.

– მინდა, ყველას შევახსენო, მათ შორის ევროპარლამენტარებს, რომლებიც დღეს გამოდიან განცხადებებით, ჩვენ კარგად ვიცით და გვახსოვს, როგორი სასამართლო ჩაიბარა „ქართულმა ოცნებამ“. მას შემდეგ არაერთი რეალური და ხელშესახები რეფორმა განვახორციელეთ, რამაც რეალურად გამჭვირვალე გახადა და გახსნა ეს სისტემა.

ამას გარდა, საქართველოს სასამართლო სისტემა ბევრად წინ უსწრებს ევროკავშირის მოქმედი წევრების, სახელმწიფოების სასამართლო სისტემას, რაც ყველა კვლევით დასტურდება, მათ შორის ევროკავშირის გამოკითხვებით.

ჩვენ გამოვედით ხელშეკრულებიდან, ვინაიდან მეორე მთავარმა მხარემ არ მოაწერა ხელი. მათ რომ მოეწერათ, ჩვენ დავრჩებოდით. ამის მიუხედავად, ვაგრძელებთ და ვართ ერთგული იმ რეფორმებისა, რომელიც დავიწყეთ და აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ევროპული სანქცია ფაქტობრივად ამოქმედდა“

რომან გოცირიძე: „არჩევნებამდე პოლიტიკური მიზნით ლარს რომ იჭერენ, მერეც ხომ საჭირო გახდება ფული, გაუფასურების ახალი რეკორდებისაკენ რომ არ გაიწიოს 2-3 თვეში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, „ქართული ოცნება“ და პრემიერი ღარიბაშვილი აცხადებენ, რომ ქვეყანას ევროპისგან სესხი არ სჭირდება. გვაქვს საკმარისი თანხები და ვალი რატომ უნდა ავიღოთო. რას ნიშნავს ხელისუფლების ეს ქმედება, იცოდნენ, რომ ტრანშს უჩერებდნენ და მოვლენებს დაასწრეს? რა ხდება, რაზე მიდის „ოცნება“, რას ნიშნავს მათი განცხადებები?

– გუშინ ძალიან დიდი ალიყური მიიღო ირაკლი ღარიბაშვილმა. როგორც ცრუპენტელამ, ისე გააკეთა განცხადება, სესხზე უარს ვამბობო. არადა, ევროკავშირმა წინასწარ გააფრთხილა მთავრობა, რომ ეს ტრანში არ იქნებოდა გადმორიცხული, ვინაიდან არ მთავრობა ასრულებდა პირობებს და ფაქტობრივად დაუწესა სანქციები. მთავრობამ გადაწყვიტა, ეს ყველაფერი არასწორად მიეწოდებინა საზოგადოებისთვის, მათ მოინდომეს რაღაც სულელური განცხადების გაკეთება და იმავე საღამოს დაისაჯნენ, რომ იტყვიან, მიიღეს სიფათში. რეალური სურათი კი ასეთია, რომ ევროპა არ მისცემს საქართველოს მთავრობას ამ დახმარებას. მთავრობის დასჯას 75 მილიონი ევროს ტრანშის შეჩერების სახით შორსმიმავალი შედეგები ექნება ფინანსური და პოლიტიკური თვალსაზრისით. მომავალი ერთია და ფული ახლაც გვჭირდება. არაა ეს ცოტა, 300 მილიონი ლარი, ჩვენი ბიუჯეტისთვის. არჩევნებამდე პოლიტიკური მიზნით ლარს რომ იჭერენ, მერეც ხომ საჭირო გახდება ფული, გაუფასურების ახალი რეკორდებისაკენ რომ არ გაიწიოს 2-3 თვეში!

– ეს გამოიწვია ვალდებულებების შეუსრულებლობამ?

– დიახ, ეს პირდაპირ კავშირშია ამ ხელისუფლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. დახმარება იყო მიბმული ვალდებულებებზე, ვალდებულება იყო სასამართლოს რეფორმა და ფაქტობრივად ეს ნიშნავდა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ სანქციის გამოყენებას.

– ეს იცოდა ღარიბაშვილმა და დაასწრო მოვლენებს?

– ეს იცოდა ღარიბაშვილმა, ეს გააფრთხილეს ჯერ კიდევ კიევში, როდესაც ღარიბაშვილი შარლ მიშელს შეხვდა, ფოტოები დადო და თავი წარმოაჩინა, თითქოს მეგობრული საუბარი შედგა და კვლავ დემაგოგიური და დეზინფორმაციული თვალსაზრისით გამოიყენა ის შეხვედრა. არადა, ის შეხვედრა იყო გამაფრთხილებელი, რომ საქართველოს მთავრობა დაისჯება და სექტემბერში ეს ტრანში არ წამოვა. ამიტომ იცუღლუტა ღარიბაშვილმა, მაგრამ ეს ცუღლუტი არ აპატიეს.

– რატომ გაკეთდა მსგავსი განცხადებები?

– რა უნდა უმაგრებდეს ივანიშვილს ზურგს ევროპისა და ამერიკის წინააღმდეგ მსგავსი გამოხდომებისას? ან ღარიბაშვილსა და კობახიძეს, რომლებიც ევროპას თითს უქნევენ? ერთადერთი რამ შანტაჟი, რომ რუსეთს კიდევ უფრო ჩაეხუტება. არ გაუვა, რწყილი რომ სპილოს აუხტეს, სწორედ იმას ჰგავს. ამიტომ ივანიშვილი პერსონალურ სანქციებს მიიღებს. მათი ერთადერთი რესურსი არის შანტაჟი და ამ შანტაჟის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი არის ის, რომ თუკი თქვენ დათმობებზე არ წამოხვალთ, ფულს არ მოგვცემთ და არ შეგვარჩენთ დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვას, წავალთ და რუსეთს ჩავეხუტებით. ბევრისთვის როგორ დამთავრდა რუსეთთან ჩახუტება, ეს მშვენივრად ვიცით. ყველამ მიიღო სანქციები, ზოგის ოჯახი საერთოდ გამოაძევეს ამერიკიდან. ძალიან კარგად ვიცით, რაც მოლდოვაში მოხდა, ეს ქვეყანა გახდა მთლიანად ევროპული და მთლიანად დამთავრდა იქ რუსეთის ბოგინი. ეს იყო ჩვენი ხელისუფლების პირველი გაფრთხილება. ამას აუცილებლად მოჰყვება ამერიკის მხრიდანაც ჯერ პოლიტიკური გაფრთხილება და შემდეგ საქმე მივა სანქციებამდე. ასეთი ქმედებებით ქვეყანას აზარალებენ და მის იმიჯს აზიანებენ.

– ვისი იმედი აქვს „ოცნების“ ხელისუფლებას?

– ეგონათ, რომ შანტაჟი გაუვიდოდათ, მაგრამ არ გაუვათ ეს შანტაჟი. საქმე მივა პერსონალურ სანქციებამდე და ვიხილავთ იმას, რომ ჩაეკეტება ევროპა და ამერიკა ივანიშვილს და მისი მოძრაობის მარშრუტი იქნება მოსკოვი და ჩელიაბინსკი.

– ქვეყანაც რომ ზარალდება ამ ყველაფრის გამო?

– ზარალდება, მაგრამ ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას არ ადარდებს. ევროკავშირმა პანდემიასთან ბრძოლაში დასახმარებლად საქართველოს უკვე გამოუყო 1,5 მილიარდი ლარი. აქედან თითქმის ერთი მილიარდი არის გრანტი ანუ საჩუქარი, დანარჩენი კი შეღავათიანი სესხია. გრანტი, პლუს სესხი დახმარების პაკეტია, მთავრობას კი უნდა წარმოაჩინოს, რომ სესხი არ სჭირდება, რადგან თურმე თვითონ გაუჩნდა ფული. სინამდვილეში...

– სინამდვილეში რა ხდება?

– ის, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი, ისევე, როგორც შარშანდელი, უპრეცედენტოდ დეფიციტურია. დახმარებაზე კი ხელის კვრა ნიშნავს სამომავლო დახმარების, მათ შორის გრანტების შემცირებას. ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა არის უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც ასევე პოლიტიკურ ქვეტექსტებს შეიცავს. 150 მილიონი ევროდან უკვე ათვისებულია 75 მილიონი ევრო. დარჩენილი ტრანშების შეჩერება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ხდებოდა დონორი ორგანიზაციების ინიციატივით, რომელიც უარს ამბობდა დაფინანსების გაგრძელებაზე პირობის შეუსრულებლობის გამო. „ტრანში არ მოვიდა“ შევარდნაძის დროს ცუდ რამეს ნიშნავდა, ე.ი. ვერ გასცემდა მთავრობა დროზე პენსიებსა და ხელფასებს.

– პანდემიის პერიოდში ეს რამდენად დაგვაზარალებს?

– ნამდვილად ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. პანდემიის პერიოდში საქართველო გადარჩა სწორედ „ტრანშების წყალობით“, რომელიც ძალიან არაეფექტიანად და კორუფციულად იხარჯებოდა. შარშან ბიუჯეტის შემოსავლების თითქმის ნახევარი დახმარებით იყო ფორმირებული. არც წელსაა მცირე ოდენობის. „ტრანში არ მინდა“ ხელისუფლებას უნამუსოდ უნდა გაასაღოს ვალების აღების პოლიტიკაზე უარის თქმად. არადა, მომავალი წლის ბიუჯეტშიც დიდძალი საგარეო ვალებია გათვალისწინებული.

– ხელისუფლების წარმომადგენლები, მინისტრები ჩამწკრივდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ამართლებენ პრემიერის განცხადებას, ამ სიტუაციაში ვალი გაუმართლებელი იყოო.

– „დასწრებაზე თამაში“, თითქოს მეორე ტრანში მთავრობას არ სჭირდება, არის გულუბრყვილო მცდელობა, გაანეიტრალონ დახმარების გარდაუვალი შეჩერების ფაქტი, რაც სანქციას ნიშნავს. ეს არის დემაგოგიური და ანტისახელმწიფოებრივი თამაში, რომელიც ევროკავშირის წინააღმდეგ გამართა ივანიშვილის ხელისუფლებამ.

– ანუ ამოქმედდა სანქციები?

– დიახ, ევროპული სანქცია ფაქტობრივად ამოქმედდა – საბიუჯეტო დახმარება 78 მილიონი ევროს ოდენობით არ გადმოირიცხება. ეს პირდაპირ სანქციად რომ არ ყოფილიყო გამოცხადებული, მთავრობამ წინმსწრებად უარი თქვა მის მიღებაზე. ეს ფული სექტემბერში უნდა ჩარიცხულიყო. როცა უარს ამბობ უპროცენტო და მრავალი წლის შემდეგ დასაბრუნებელ სესხზე, მაშინ რატომ უნდა აიღო პროცენტიანი ფული? არადა, ევროკავშირის 4 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარება მომავალი ხუთი წლის განმავლობაში სულ ახლახან იყო დაპირებული ევროკომისიის მიერ და ღარიბაშვილიც სიამაყით აცხადებდა ამაზე. ასე რომ, დაიკარგა 300 მილიონი ლარი მომდევნო წლის ბიუჯეტში და დაზიანდა ქვეყნის რეპუტაცია. ეს აუცილებლად მოახდენს გავლენას სხვა დონორების ქცევაზეც.

ირაკლი კობახიძე: „გახარია ფულს გვთხოვდა, რომ თბილისის მერობაზე საკუთარი კანდიდატურა არ დაეყენებინა“

– იყო კომუნიკაციის მცდელობა შუამავლის მეშვეობით ფინანსურ თემაზე, იყო პირდაპირი მინიშნებები იმასთან დაკავშირებით, თუ იქნებოდა ჩვენი მხრიდან რაღაც ფინანსური მხარდაჭერა, ამ შემთხვევაში გახარია თავის კანდიდატურას მერის პოსტზე არ დააყენებდა, რაზეც შესაბამისი პასუხი მიიღეს.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, გიორგი გახარია არის „ნიკანორ მელიასთვის გადამდგარი ყოფილი პრემიერი“ და მასთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული შეფასების გაკეთებას არ აპირებს.

– მე სერიოზულ კომენტარს ამაზე არ გავაკეთებდი, ეს არის ნიკანორ მელიასთვის გადამდგარი ყოფილი პრემიერი, რომელიც ახლა დააყენეს მერობის კანდიდატად იმისთვის, რომ რამენაირად მელია გაათრიონ მეორე ტურში, თუმცა ეს, ბუნებრივია, მათ არ გამოუვათ. კახა კალაძე პირველივე ტურში მოიგებს ამ არჩევნებს. მას აქვს კონკრეტული დავალება, თუმცა ეს დავალება შესრულებადი არ არის.

იყო კომუნიკაციის მცდელობა შუამავლის მეშვეობით ფინანსურ თემაზე, იყო პირდაპირი მინიშნებები იმასთან დაკავშირებით, თუ იქნებოდა ჩვენი მხრიდან რაღაც ფინანსური მხარდაჭერა, ამ შემთხვევაში გახარია თავის კანდიდატურას მერის პოსტზე არ დააყენებდა, რაზეც შესაბამისი პასუხი მიიღეს.

1 სექტემბერს შედგა ასეთი შეხვედრა კახა კალაძესა და გახარიას შორის. საუბრის ერთადერთი თემა იყო ის, რომ გახარია, მისი თქმით, აპირებდა კანდიდატურის დაყენებას და არ უნდოდა, რომ კახა კალაძეს გაეგო ტელევიზიის მეშვეობით, რაზეც კახა კალაძემ უპასუხა, რომ მისთვის ეს არ იყო საინტერესო და ის ყველა შემთხვევაში მოიგებდა არჩევნებს პირველ ტურში, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ოპოზიციას სერიოზული მხარდაჭერა არა აქვს“

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ ხალხს ქუჩაში არ უნდა გამოსვლა, მას ვერავინ ვერ გამოიყვანს. ამიტომ ოპოზიციის ვალდებულებაა, სხვა გზები ეძიონ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადებით, 75-მილიონიანი დახმარება მიბმულია შარლ მიშელის ხელშეკრულების შესრულებაზე, კონკრეტულად – სასამართლო სისტემის რეფორმაზე. „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერ ფასად უღირს არსებული სასამართლო სისტემის შენარჩუნება?

– სასამართლო სისტემის საკითხი ხელისუფლებას მოგვარებულიც აქვს და შენარჩუნებულიც. სანამ ახალი ხელისუფლება არ მოვა, რომელიც, ღმერთმა უწყის, მოინდომებს თუ არა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას, არსებული სასამართლო იქნება შენარჩუნებული. საქართველოში არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია სურვილი, რომ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა შეექმნა.

არსებული სასამართლო იქნება იმ ხელისუფლების მსახური, რომელიც იმ დროისთვის ხელისუფლებაში იქნება. ამდენად, განა არ იცის ამ ხელისუფლებამ, ძალაუფლებას რომ დაკარგავს, ეს მოსამართლეები მათ მიმართ ლოიალურები არ იქნებიან?! მშვენივრად იცის. ყველამ იცის, რომ ეს მოსამართლეები ისევე მოემსახურებიან ახალ ხელისუფლებასაც, როგორც თავის დროზე ემსახურებოდნენ სააკაშვილს. ამიტომ მთავარი მიზანი ძალაუფლების შენარჩუნებაა.

დღეს ეს სასამართლო სისტემა ხელისუფლებას სჭირდება იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ძალიან მარტივია ყველაფერი, ხელისუფლებას არ სურს სისტემაზე კონტროლის დაკარგვა. სწორედ ეს არის მიზეზი, რატომაც გავიდა ხელისუფლება მიშელის შეთანხმებიდან. ერთ-ერთი უმთავრესი იმ ხელშეკრულებაში სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირებაა.

რა თქმა უნდა, როდესაც გადიხარ ევროკავშირის მიერ მოწოდებული შეთანხმებიდან, როდესაც უარს ამბობ ევროკავშირის გრანტზე, ეს ყველაფერი დასავლეთთან ურთიერთობას აფუჭებს, ძალიან რბილად რომ ვთქვა, ჩრდილს აყენებს. და თუ მთელ ამ ნაბიჯებს არ განვიხილავთ, როგორც სვლას რუსეთისკენ, რეალური მიზანი არის ძალაუფლების შენარჩუნება და ამ პროცესში სასამართლოს „ქართული ოცნება“ განიხილავს, როგორც ძალიან მნიშვნელოვან დასაყრდენს.

– ძალაუფლების შენარჩუნება ყველაფრის ფასად?

– თუ დღევანდელი გუნდი ვერ ინარჩუნებს ძალაუფლებას, მისთვის სულ ერთი არ არის, ევროპა გრანტს მოგვცემს თუ არ მოგვცემს?! ევროპასთან ურთიერთობის გაფუჭება სულაც არ ადარდებთ.

– და რამდენად დაჯერებენ საზოგადოებას, ასეთი მძიმე ეკონომიკური კრიზისის ფონზე უარს ვამბობთ დახმარებაზე იმიტომ, რომ ფული არ გვიჭირს. ეს არჩევნების წინ სარისკო ნაბიჯი არ არის?

– ხელისუფლებას, ქვეყნის შიგნით, ძირითად მასაში, გაცილებით უფრო მოგვარებული აქვს საქმე, ვიდრე დასავლეთთან. საზოგადოების ამ ნაწილში მე არ ვგულისხმობ პროფესიულ წრეებს, ვინც მეტნაკლებად პოლიტიკაში ჩართულია.

დღეს ძალაუფლება ფაქტობრივად ქუჩაშია. მაშინ, „ქართული ოცნება“ რის ფასად ინარჩუნებს ძალაუფლებას? ქვეყანაში არ არის ძალა, რომელიც ხელში აიღებს მართვის სადავეებს, ძალაუფლებას. ეს არის პრობლემა. „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას ინარჩუნებს იმის ხარჯზე, რომ ოპოზიციას არ აქვს სერიოზული მხარდაჭერა. სერიოზული ძალის გამოჩენისთანავე, როგორც ეს მოხდა 2012 წელს, იმწუთში დაკარგავს ძალაუფლებას „ქართული ოცნება“.

ძალიან ნიშანდობლივია დასავლეთისა და ქართველი საზოგადოების თანხვედრა იმ საკითხში, რომ ვერც დასავლეთი და ვერც ამ ქვეყნის მოქალაქეები ვერ ხედავენ ძალას, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჩაანაცვლებს. ეს არის პრობლემა. ამიტომაც გაცილებით მშვიდად არის ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ზედმეტ გართულებებს ის ყოველთვის აიცილებს თავიდან.

– პერსონალური სანქციები თუ რეალობა გახდა, შეიძლება, ეს იყოს აუტკივარი თავის ატკივება? ელოდებით მოვლენათა ასეთ განვითარებას?

– საინტერესოა, რა სანქციებზე საუბრობს ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი. ვისზე იქნება, პერსონალური იქნება თუ როგორ?! ჯერ ამაზე ვერაფერს გეტყვით. ჯერ რასაც ვხედავთ, ის არის, რომ „ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესია ძალაუფლების შენარჩუნება. ისინი ევროპის გაწყრომაში ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავენ. ხომ გვითხრეს, გაგვიწყრებიანო – გაგვიწყრნენ.

როგორც კი ხელისუფლება იგრძნობს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის სულ ერთი იქნება, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ოღონდ ესენი არ იყვნენ, აი, მაშინ მოეგებიან გონს. ჯერ ასეთი განწყობა მოსახლეობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით არ არის. სიმართლე გითხრათ, ამ პროცესს სწორედ ოპოზიცია ამუხრუჭებს. თუ ხალხს ქუჩაში არ უნდა გამოსვლა, მას ვერავინ ვერ გამოიყვანს. ამიტომ ოპოზიციის ვალდებულებაა, სხვა გზები ეძიონ.

როგორც კი გამოჩნდება ახალი ძალა, რომელიც მზად აღმოჩნდება ძალაუფლების ასაღებად, იმ დღესვე დამთავრდება „ქართული ოცნება“.

„საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი არა, ტაქსებია ვირუსის გამავრცელებელი“

გიგლა ბარამიძე: „წესიერი ოპოზიცია მოედანზე ვერ გამოდის“

მარიამ მჭედლიშვილი

ადგილობრივ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს.

– თქვენი შეფასებით, რა ხდება პოლიტიკურ ველზე არჩევნებამდე ერთი თვით ადრე? გამოიკვეთა თუ არა ე.წ. მესამე ძალის კონტურები?

– რასაკვირველია, არანაირი მესამე ძალისა თუ ცენტრის კონტურები არ ჩანს. ვიღაცა თავის თავს უწოდებს მესამე ძალას. სინამდვილეში ასეთი რამ პოლიტიკაში არ არსებობს. რადგან გრიგოლ ვაშაძე სადღაც შევიდა, ეს არ ნიშნავს, რომ მესამე ძალა შეიქმნა. ეგ კაცი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე იყო და იქიდან მოცოცხა. ნაციონალური მოძრაობა საერთოდ პარტია არ არის.

– პარტია რატომ არ არის? პარტიული სტრუქტურები აქვს, ამომრჩეველი ჰყავს.

– მთავარია, რა აქვს ჩადენილი და რა გზას ადგანან. ნაცმოძრაობა ფაქტობრივად არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად იწვევს დესტრუქციას ან ცდილობს დესტრუქციის გამოწვევას, თან ისევ მთავარ ოპოზიციად ითვლება. ეს მოხდა „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით. დასანანი ისაა, რომ ოპოზიციის ადგილს იკავებს ეს იზუვერული სექტა, წესიერი ოპოზიცია კი მოედანზე ვერ გამოდის. მგონი, „ოცნების“ ხელისუფლება გონზე მოდის და ნაციონალურ მოძრაობას ძველებურ სიამტკბილობაში აღარ ამყოფებს. ოპოზიცია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გარშემო გაერთიანდა და შემდეგ პარლამენტში შევიდა, სამარცხვინოა. ამ პოლიტიკოსებმა რაც თქვეს, არაფერი შეასრულეს, რიტორიკას კი არ იცვლიან. არადა, დროა, შეიცვალონ, ნახონ მაინც, რა ხდება მსოფლიოში.

– ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს გულისხმობთ? თალიბები, რომლებმაც დაიკავეს მთელი ავღანეთი, გამოთქვამენ მზადყოფნას აშშ-სთან სათანამშრომლოდ. თავის მხრივ, ვაშინგტონი აპირებს, იმუშაოს ქაბულთან, თუ ეს ამერიკის ინტერესებს დასჭირდება. მომხდარი ამერიკის მარცხი არ გამოდის.

– მარცხი როგორ არ გამოდის! ამერიკელი სამხედროები უბრალოდ კი არ გამოვიდნენ ავღანეთიდან, თავქუდმოგლეჯილი და კუდამოძუებული გამოიქცნენ. საკუთარი დიპლომატები შენობების სახურავებიდან გადმოჰყავდათ. გაჩნდა კითხვა – რისთვის შევიდნენ ავღანეთში 20 წლის წინ? იმისთვის, რომ 20-წლიანი ყოფნის შემდეგ ქვეყანა ისევ ტერორისტული „თალიბანისთვის“ გადაელოცათ? ძალიან შემეცოდა აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი, როცა ამბობდა, რომ, ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, თალიბანი ქაბულში შევიდოდა სამიდან ექვსი თვის ვადაში. შემდეგ ბლინკენმა დაასახელა სავარაუდო 90 დღე. მე, უმუშევარმა კაცმა, ვიცოდი, რომ ქაბულის დაკავებას სამი დღე უნდოდა. ყანდაარიდან ქაბულამდე 372 კილომეტრია. მართლაც, ორდღე-ნახევარში შევიდა თალიბანი ქაბულში. ამ ყველაფერმა მოახდინა გავლენა მსოფლიოზე, მსოფლიო წესრიგზე. ამან დაგვანახა, რომ მსოფლიოში წესრიგს არ ამყარებს ერთი სახელმწიფო. ავღანეთში მოხდა აშშ-ის პოლიტიკური და სამხედრო ფიასკო. ამ მოვლენების დროს გამოიკვეთა საერთაშორისო ინსტიტუტების უსუსურობა. მარტო ნატოზე არ ვლაპარაკობ. სად იყო ამ დროს ევროკავშირი? მოვლენებმა დაადასტურა, რომ ევროკავშირი, ნატო, ასევე გაერო საჭიროებს რეორგანიზაციას. ჩვენ ამ ორგანიზაციებისკენ (ნატო და ევროკავშირი) უნდა ვიაროთ, მაგრამ უნდა ჯერ უნდა მოხდეს მათი რეფორმირება. ქართველი სამხედროები, რომლებიც ავღანეთში მსახურობდნენ, უდავოდ გმირები არიან. ახლა ისინიც უხერხულად გრძნობენ თავს. რისთვის დებდნენ თავს? იმისთვის, რომ მერე ავღანეთი ტერორისტებისთვის დაეთმოთ? აუცილებელია ევროკავშირისა და ნატოს რეორგანიზაცია. ეს ჩვენც გვჭირდება. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა – მალე მოვა დრო და ევროკავშირი და ნატო თვითონ შეგვეხვეწებიან, ჩვენთან შემოდითო. საქართველო ცოტა გონს უნდა მოვიდეს (როგორც ვატყობ, საქართველოს ხელისუფლება გონს მოდის) და საკუთარი პრობლემების გადაჭრაზე თვითონ უნდა იფიქროს.

– ევროკავშირის დახმარებაზეც (სესხის მეორე ნაწილზე) უარი თქვა საქართველოს ხელისუფლებამ. ბევრი თვლის, რომ რეფორმების გაუტარებლობის გამო ევროკავშირი საქართველოს სანქციას დაადებდა და ეს კრედიტი მაინც არ გაიცემოდა.

– მე საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯს სწორად მივიჩნევ. ბოლო დროს მმართველი პარტია თავს აღარ უხრის ნაციონალურ მოძრაობას. 8 წლის წინ ვაფრთხილებდი, რომ კოაბიტაცია ბუმერანგად შემოუბრუნდებოდა. ასეც მოხდა. გარდა ამისა, ხელისუფლება ცდილობს, იყოს ღირსეული ევროპელ მაღალჩინოსნებთან. ევროკავშირი თვითონ ვერ ჩამოყალიბებულა. გამოჩნდა, რომ მსოფლიოში ევროკავშირს ჭკუას არ ეკითხებიან. შეცვალონ მიდგომები, მოახდინონ რეფორმირება და მაშინ ვილაპარაკოთ ევროკავშირში შესვლაზე.

– საქართველოში ისევ უმძიმესი ეპიდვითარებაა. ვაქცინაციის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ყველგან არიან. საქართველოში რატომღაც ეს უთანხმოება სამკვდრო-სასიცოცხლო ომს დაემსგავსა.

– აქ, ალბათ, ყველაზე აქტიურები ფეისბუქის ხვადი და ძუ ლომები არიან. ჩვენ არ გვიყვარს საკუთარ შეცდომებსა და ცოდვებზე ფიქრი და ლაპარაკი. ამიტომ ყველა სხვისკენ იშვერს ხელს. ბევრი ადამიანია დაუსაქმებელი (ზოგი სიზარმაცის გამო). ეს ხალხი მთელ ენერგიას სხვის ლანძღვაზე ხარჯავს. ეს ყველაფერი პროვინციალიზმში გადადის. ჰგონიათ, რომ დემოკრატია მარტო ლგბტქ-პრაიდებია. დემოკრატია ხომ ისიცაა, რომ სხვას არ მოახვიო შენი მოსაზრებები ვაქცინაციაზე. არ გინდა? ნუ აიცრები. საჭიროდ თვლი? გაიკეთე აცრა. სხვას რატომ ლანძღავ?! ის რაღა უბედურებაა, როცა ტაქსის მძღოლი 5 ლარის მაგივრად 20-ს გახდევინებს. ამ დროს თბილისს არ იცნობს და საჭირო ქუჩებს ვერ აგნებს.

– ხალხი აღშფოთებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების გამო. არ ჯობდა, სხვა რეგულაციები მიეღოთ?

– პირადად მე მგონია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი არა, ტაქსებია ვირუსის გამავრცელებელი. საზოგადოებრივ ტრანსპორტში (განსაკუთრებით, ავტობუსებსა და მეტროში) პირბადე ყველას ეკეთა. პიკის საათებში შეეძლოთ, ტრანსპორტი დაემატებინათ. არავინ ამოწმებს, უკეთია თუ არა პირბადე ტაქსისტს. ჯობდა, დროებით ტაქსები აეკრძალათ და არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილის შეთანხმებას ხელს აწერს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 19 აპრილის შეთანხმებას ხელს აწერს.

აღნიშნულის შესახებ გუშინ, 1 სექტემბერს, საგანგებო მიმართვაში ოპოზიციის ნაწილის მერობის კანდიდატმა და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიამ ისაუბრა.

მისი განმარტებით, მიუხედავად 19 აპრილის დოკუმენტში პარტიისთვის მიუღებელი გარკვეული დებულებებისა, რის გამოც ამ დრომდე პოლიტიკურმა სუბიექტმა შეთანხმებას ხელი არ მოაწერა, არსებული უმძიმესი სახელმწიფოებრივი რისკების შეფასების შემდეგ შექმნილ მდგომარეობაში თავს ვალდებულად მიიჩნევენ, საკუთარ მოსაზრებებზე მაღლა დადგნენ და 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწერონ.

– საქართველოს ევროპული არჩევანი არა მხოლოდ ჩვენი თაობის, არამედ საქართველოს ისტორიულად განსაზღვრული არჩევანია! და მეტიც – ეს არ არის მხოლოდ პრაგმატული არჩევანი – ეს ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია!

ჩვენ არ მივილტვით ევროპისაკენ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ სიმდიდრეა, განვითარებული ეკონომიკაა, ყველაზე სრულყოფილი განათლება და ჯანდაცვის სისტემაა, არც მხოლოდ იმიტომ მივილტვით, რომ ახალგაზრდებს დასავლეთში ყველაზე მეტი პერსპექტივა აქვთ თავიანთი ნიჭისა და უნარების გამოსავლენად და არც მხოლოდ იმიტომ, რომ ხნიერი ადამიანები ყველაზე უკეთ არიან იქ დაცული!

საქმე იმაშია, რომ ჩვენ თავად ვიყავით და ვართ დასავლური ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი და სვლა ევროპისაკენ ჩვენთვის სახლში დაბრუნებაა! ჩვენი კულტურა, ჩვენი ხელოვნება, ჩვენი მწერლობა – ევროპული მრავალფეროვნების ერთ-ერთი განუყოფელი და უნიკალური ფერია! – განაცხადა ნიკა მელიამ.

1700%-ით გაზრდილი იმპორტი – ქვეყნები, საიდანაც ჟანგბადს ვყიდულობთ

საქართველოში ჟანგბადის იმპორტი მიმდინარე წლის 7 თვეში (იანვარ-ივლისი), გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1700%-ით გაიზარდა. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის იანვარ-ივლისში საქართველომ 17.02 ათასი აშშ დოლარის ჟანგბადი შეიძინა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში კი – 307.60 ათასი აშშ დოლარის.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა იმ ქვეყნების ჩამონათვალით, საიდანაც 2021 წლის 7 თვეში საქართველომ ჟანგბადი შეიძინა:

თურქეთი – 233.84 ათასი აშშ დოლარი
აზერბაიჯანი – 50.61 ათასი აშშ დოლარი
რუსეთი – 22.95 ათასი აშშ დოლარი
იტალია – 0.20 ათასი აშშ დოლარი

ცნობისთვის, როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ განაცხადა, ჟანგბადის მოწოდებისა და მოხმარების ინტენსივობა ძალიან გაზრდილია. მისი თქმით, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს და სხვადასხვა ქვეყნიდან ხდება ჟანგბადის იმპორტი.



„მიუხედავად იმისა, რომ ყველა უწყება მაღალი დატვირთვით მუშაობს, ჯერჯერობით კლინიკებს ჟანგბადის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემა არ შეჰქმნიათ. ჩვენ მათ ვთხოვეთ, რომ ჟანგბადის რაციონალური მოხმარების რეკომენდაციები გამოიყენონ, რასაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია გასცემს, ვინაიდან იყო შემთხვევები, როდესაც ჟანგბადის სისტემა იყო გახსნილი, ჟანგბადი იკარგებოდა და პაციენტი მას ვერ იყენებდა. იმისათვის, რომ მსგავსი ხარვეზები აღმოიფხვრას, ჩვენ მუდმივად ვუკავშირდებით კლინიკებს“, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.

თამარ გაბუნია: „ორჯერ ვაქცინირებული პირებიდან ჰოსპიტალში მოხვდა 0,9%“

„რეანიმაციაში მკურნალობა დასჭირდა 0.3%-ს, ხოლო გარდაცვალების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა“

– ორჯერ ვაქცინირებული პირების გარდაცვალების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, რაც მძიმე თანმხლები დაავადების გამო მოხდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვაქცინაციაზე რაიმე მიზეზით უარი უნდა ვთქვათ.

ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ „პალიტრანიუსის“ ეთერში გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

1 მარტიდან 17 აგვისტოს ჩათვლით 2 დოზით ვაქცინირებულებიდან კორონავირუსით დაინფიცირების შემდეგ ჰოსპიტალში მოხვდა 0,9% და რეანიმაციული მკურნალობა დასჭირდა მხოლოდ 0.3%-ს. რეანიმაციაში მოხვედრილთა 98%-ს კი არავაქცინირებული პირები წარმოადგენდნენ.

– 1 მარტიდან 17 აგვისტოს ჩათვლით ინფიცირებული პირების 96% ვაქცინირებული არ ყოფილა, ინფიცირდება მათი უდიდესი ნაწილი, ვინც აცრილი არ არის. არავაქცინირებული პირების 97% მოხვდა კლინიკაში. რაც შეეხება ვაქცინირებულ პირებს, ჰოსპიტალური მკურნალობა დასჭირდა 1%-ზე ნაკლებს. ორი დოზით ვაქცინირებულთა შორის იყო ინფიცირების შემთხვევები, აქედან ჰოსპიტალში მოხვდა 0,9% და რეანიმაციული მკურნალობა დასჭირდა მხოლოდ 0,3%-ს, მაშინ როდესაც რეანიმაციაში მოხვედრილი პირებიდან არავაქცინირებული იყო 98%.

ეს ცალსახად მიუთითებს, რომ ვაქცინაცია არის ძალიან ეფექტური ჰოსპიტალიზაციისა და მძიმე შემთხვევების თავიდან აცილებისთვის. გამორიცხული არაფერი არ არის, ჩვენ ყველას გვესმის, რომ ვაქცინას 100%-იანი დაცვა არ ექნება, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ორჯერ ვაქცინირებული პირი დაინფიცირდა. იყო რამდენიმე გარდაცვალების შემთხვევა ორჯერ ვაქცინირებული პირების, რაც მძიმე თანმხლები დაავადების გამო მოხდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვაქცინაციაზე რაიმე მიზეზით უარი უნდა ვთქვათ.

ვაქცინაცია არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი გამოსავალი, ამიტომ ვცდილობთ, მოვიცვათ რაც შეიძლება მეტი ადამიანი, – აღნიშნა თამარ გაბუნიამ.

ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა

1-ლი სექტემბრიდან ძალაში შევიდა რამდენიმე ცვლილება.

მათ შორის: იპოთეკური სესხების სუბსიდირების ახალი პროგრამა, რომელიც მრავალშვილიან ან ახალშეძენილი შვილების მქონე ოჯახებს შეეხება. სესხის ოდენობა 200.000 ლარი იქნება და სახელმწიფო თანადაფინანსებას 5 წლის განმავლობაში განახორციელებს. ამასთან, ახალშეძენილი შვილის მქონე ოჯახებისთვის თანადაფინანსება სესხის პროცენტის ნახევარი იქნება, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის – 2/3.

ამასთან, 1-ლი სექტემბრიდან პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ახალი კომპონენტები შედის ძალაში, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული წარმოების გაძლიერებას, ექსპორტის გაფართოებასა და იმპორტის ეტაპობრივ ჩანაცვლებას.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით საარჩევნო პროცესში შეუფერხებლად მონაწილეობისთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ერთი თვის განმავლობაში უფასოდ გაიცემა. როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, აქცია 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდება.

გარდა ამისა, კოვიდვაქცინის ორი დოზით აცრილი პირები იუსტიციის სამინისტროს სერვისების ნაწილს უფასოდ მიიღებენ, ნაწილს კი – ნახევარ ფასად.

ნინო ლომჯარია: „გახარიას მომხრეებს სამსახურებიდან ათავისუფლებენ“

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურ ზედამხედველობას უწევს წინასაარჩევნო პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო პერიოდში ათობით პირის შესაძლო დისკრიმინაციულად, პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურებიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ სახალხო დამცველის განცხადებაშია აღნიშნული.

ამ დროისთვის 62 დასაქმებულის მიმართ განხორციელდა სხვადასხვა სახის ზეწოლა. ამ პირთა უმეტესობამ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან დაადასტურა ზეწოლის და გათავისუფლების ფაქტები და მიზეზად ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიას პარტიის წევრებთან ნათესაური, მეგობრული თუ კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაასახელა.

რამდენიმე მათგანმა, ზეწოლის ფაქტის დადასტურების მიუხედავად, თავი შეიკავა და არ გამოთქვა თანხმობა სახალხო დამცველის აპარატს შეესწავლა მისი საქმე.

„დასაქმებულები გაათავისუფლეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მუნიციპალური სამსახურებიდან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სსიპ-ებიდან, ააიპ-ებიდან და სხვა საჯარო დაწესებულებებიდან.

მოქალაქეები ადასტურებენ, რომ ზემდგომი პირები მათ სთხოვდნენ დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერას, რასაც ნაწილი დათანხმდა, ნაწილი კი არა, რის შემდგომაც ისინი სხვა საფუძვლებით გაათავისუფლეს. ზოგიერთის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური წარმოება.

მოცემულ შემთხვევაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის – პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის ნიშნები. სახალხო დამცველმა 2021 წლის 31 აგვისტოს 34 პირთან დაკავშირებული საქმეები შესწავლისა და რეაგირების მიზნით მიაწოდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ვინაიდან მსგავსი ფაქტების შესახებ აპარატში ყოველდღიურ რეჟიმში შემოდის განცხადებები და შეტყობინებები, გათავისუფლებულ პირებთან კომუნიკაციის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატი პერიოდულად, დამატებით მიაწვდის მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს და მიადევნებს თვალს მათზე განხორციელებულ რეაგირებას, ასევე შეისწავლის ინდივიდუალურ საქმეებს შესაძლო დისკრიმინაციისა და შრომის უფლების დარღვევის კუთხით.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია ადამიანთა დევნა მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო, მათ შორის, სამსახურიდან გათავისუფლება“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მოუწოდებს ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სხვა საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს – პოლიტიკური შეხედულებების გამო, არ გაათავისუფლონ ანდა არ გასცენ მითითებები თანამშრომელთა გათავისუფლების თაობაზე. ამასთან, სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, დროულად გამოიკვლიონ სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წერილში მითითებულ პირთა მიმართ შესაძლო დევნის საკითხი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

პროკურატურამ თბილისის მერიის 13 ეპიზოდზე გამოძიება დაიწყო

გენერალური პროკურატურა თბილისის მერიაში სამართალდარღვევებს იძიებს. საქმე ეხება 2015-2020 წლებში მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებულ 14 დასკვნას, რომლებიც გენერალურ პროკურატურას რეაგირებისთვის გადაუგზავნეს. 14 დასკვნის საფუძველზე კი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 13 შემთხვევაზე დაიწყო.

გამოსაძიებელი საქმეებიდან 3 კახი კალაძის მერობის პერიოდს ეხება – მახათას მთაზე გზის ჩავარდნა, ვეკუა-ხიზანიშვილის ქუჩებიდან მოპარული მილები და მერიის ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ მიმდინარე საქმეების გამოძიება განგებ ჭიანურდება.

– 500 ტონა ჯართი რომ გააქრო კალაძემ ხიზანიშვილის ქუჩიდან, თურმე ვერ გაიგეს, სად წავიდა. ნაძვის ხე რომ ჩამოიტანა კალაძემ, მილიონი გადაიხადა და ალვის ხე აღმოჩნდა, ამაზე რატომ არ იწყებენ გამოძიებას, ან საკუთარ ბიზნესპარტნიორ, ოჯახის წევრ წულაიას 1 ლარად რომ 16 მილიონის ქონება გადასცა, ამაზე რატომ არ დაიწყეს გამოძიება. საბოლოო ჯამში ეს არის იმიტაცია თითქოს ვინმე ებრძვის კორუფციას, – თქვა ენმ-ს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა.

თბილისის მერის მოადგილემ კი მედიასთან განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც თანამშრომლის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების შესახებ გაიგეს, კადრი უწყებიდან გათავისუფლდა.

– პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის 13 საქმიდან კახი კალაძის მერობის პერიოდს მხოლოდ სამი საქმე უკავშირდება. აქედან ერთი შეეხება თანამდებობის პირის მხრიდან თანხის მითვისებას, რასაც ჩვენი მხრიდან მოჰყვა მყისიერი რეაგირება – აღნიშნული პიროვნება გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოს. რაც შეეხება დანარჩენ ორი ფაქტს, საუბარია სამშენებლო ობიექტიდან მასალის მოპარვის შემთხვევაზე და ასევე კონტრაქტორის მხრიდან უხარისხოდ შესრულებულ საქმიანობაზე. სამივე საქმეზე საგამოძიებო პროცესი ჩვენი მოთხოვნით დაიწყო, – განმარტა ირაკლი ხმალაძემ.

ლეიბორისტი მამუკა ჯუღელი პოლიციამ დააკავა

ლეიბორისტული პარტიის წევრი და თბილისის ვიცემერობის კანდიდატი მამუკა ჯუღელი პოლიციამ დააკავა.

ჯუღელი დაკავებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

ლეიბორისტულ პარტიაში აცხადებენ, რომ მამუკა ჯუღელის დაკავება მოჰყვა თბილისის მერიასთან გამართულ საპროტესტო აქციას, სადაც პარტიის წარმომადგენლები თბილისის მერისგან მოითხოვდნენ გეგმას, თუ როდის აღდგებოდა საჯარო ტრანსპორტი ქალაქში.

– მერიაში მივედით, რათა ქალაქის მერისგან მოგვეთხოვა, რომ წარმოედგინა საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღდგენის გეგმა.

პროტესტის გამოსახატავად შევედით მერიის შენობაში, რა დროსაც მომენტალურად პოლიციელებმა და დაცვამ ძალის გამოყენებით გამოგვიყვანეს. ამ მომენტში მამუკამ მიმართა პოლიციელებს, რომ ისინი ასრულებდნენ უკანონო დავალებას და იყვნენ მონები, რასაც მოჰყვა მისი დაკავება, – განუცხადეს ნეტგაზეთს ლეიბორისტულ პარტიაში.

„მანანა კვარაცხელია მადრიდში რეკავდა და ყალბ კოვიდპასპორტებს უკვეთდა“

რატომ დააკავა 7 პირი სუსმა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თაღლითური დაჯგუფების სქემა გაშიფრა და 7 ადამიანი ყალბი კოვიდპასპორტების დამზადებისთვის დააკავა. დაკავებული ოთხი პირი საქართველოს მოქალაქეებისგან კოვიდპასპორტების დამზადების სანაცვლოდ 350 ევროს იღებდა.

დაკავებულია კიდევ 3 პირი, რომლებიც იმავე სქემით მოქმედებდნენ და ვაქცინაციის დამადასტურებელ დოკუმენტს 400 ლარად ყიდდნენ.

სამოქმედო სქემა „კურიერმა“ გაშიფრა.

ჯგუფს მანანა კვარაცხელია ხელმძღვანელობდა. სწორედ ის ავალებდა მადონა ლაშხიას, ირინე არჩვაძესა და ესმა პაპავას მსურველების მოძიებას. მას შემდეგ, რაც დაჯგუფების სამი წევრი საქართველოს დატოვების მსურველს იპოვიდა, მანანა კვარაცხელია მადრიდში რეკავდა და ყალბ კოვიდპასპორტს უკვეთდა.

პირი, რომელიც ყალბ კოვიდპასპორტებს ამზადებდა, არის საქართველოს მოქალაქე და ცხოვრობს ესპანეთში. ის დაკავებული არ არის. სწორედ მას უკავშირდებოდა მანანა კვარაცხელია.

გზავნილი საქართველოში ფოსტის დახმარებით ჩამოდიოდა.

მანანა კვარაცხელიას დაჯგუფების წევრი იყო ესმა პაპავა, რომელიც პანდემიის დროს გახსნილ რუხის კოვიდკლინიკაში ექთნად მუშაობდა.

ყალბი კოვიდპასპორტების საქმეზე დაკავებული 4 პირი წინასწარ პატიმრობაში დარჩა. ბრალდებულები დანაშაულს აღიარებენ, თუმცა ამბობენ, რომ არ იცოდნენ, თუ დანაშაულს ჩადიოდნენ.

პროკურატურა ოთხივე ბრალდებულის შემთხვევაში პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. დაცვის მხარე კი მათ გათავისუფლებას მოსამართლეს გირაოს სანაცვლოდ სთხოვდა. ბრალდებულების თქმით, მათ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე მიიღეს.

განმუხურში ვლადიმერ ვახანია მოკლეს

გუშინ, 1 სექტემბერს, განმუხურში ბიზნესმენი ვლადიმერ ვახანია მოკლეს.

გარდაცვლილს სასიკვდილო ჭრილობები დანით აქვს მიყენებული.

ბიზნესმენი განმუხურში საკუთარ სახლში იმყოფებოდა, როდესაც მას ახლობელი მამაკაცი ცივი იარაღით დაესხა თავს.

ვლადიმერ ვახანია ბიზნესსაქმიანობას ძირითადად რუსეთში ეწეოდა.

ვლადიმერ ვახანიას მკვლელობის ფაქტზე სავარაუდო დამნაშავე სამართალდამცავებს უკვე იდენტიფიცირებული ჰყავთ. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ამ მომენტისთვის საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

ვლადიმერ ვახანია 2009 წელს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის, ასევე ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ბრალდებით დააკავეს, სასჯელის მოხდის შემდეგ, 2012 წელს ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო.

ტვ პირველმა ბიზნესმენის მკვლელობაში სავარაუდო ბრალდებული პირის ვინაობა გაარკვია.

მკვლელობაში სავარაუდო ბრალდებული კახაბერ კ-აა. პირველების ინფორმაციით, კახაბერ კ-ას ოჯახი ამ წუთებში პოლიციას ჩვენებას აძლევს. თავად დამნაშავის კვალზე კი სამართალდამცველები ამ დრომდე არ გასულან.

ტვ პირველის ინფორმაციით, ბრალდებულმა უკვე დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი ოკუპირებულ აფხაზეთს შეაფარა.

მკვლელობის მოტივად ბიზნესგარჩევა სახელდება.

„მეც მცემს და შვილიც ამიმხედრა“

35 წლის ქალი მამაკაცს ძალადობას აბრალებს

ქალზე სავარაუდო ძალადობის შემთხვევა თბილისში – 35 წლის ქალი ყოფილ მეგობარ კაცს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში ადანაშაულებს.

ის ყვება, რომ მასზე ძალადობა ამ დრომდე გრძელდება, თუმცა სახელმწიფო უწყებები რეაგირებას არ ახდენენ.

ქალის თქმით, ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც სავარაუდო მოძალადეს ბინის გაყიდვასა და ფულის გადაცემაზე უარი უთხრა.

სავარაუდო მსხვერპლი ამტკიცებს, რომ კაცი ფსიქოლოგიურად ძალადობს მის არასრულწლოვან გოგონაზეც.

– თავდაპირველად შემომთავაზა სახლის ჩადება, რაზეც უარი მიიღო. ფიზიკურადაც გამსწორებია ბევრჯერ. შვილიც დამაკარგვინა, იმ დონეზე ითამაშა ფსიქოლოგიურად. ჩემი შვილი ნინო მელაპარაკება ამ კაცის ენით, მეუბნება, რომ თუ მამუკას წინააღმდეგ წავალ, მასაც დავკარგავ. ასე თუ გაგრძელდა, გავგიჟდები, – უთხრა ქალმა „მთავარს“.

ძმის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს 13 წელი მიესაჯა

ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ძმის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ პირს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მსჯავრდებულმა ოჯახური კონფლიქტის დროს ძმას დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ძმის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული ჯ.ქ. დამნაშავედ ცნო. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 30 ივნისს, ჯ.ქ.-მ, ოჯახური კონფლიქტის დროს წარმოშობილი შელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ძმას ჯ.ქ.-ს, დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა. სამართალდამცველებმა ჯ.ქ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯ.ქ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ქვაბისხევის ტყეში გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბისხევის მიმდებარედ, ტყეში გაჩენილი ხანძარი სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უწყვეტი მუშაობის შედეგად ლიკვიდირებულია.

სოფელ ქვაბისხევში ხანძარი გავრცელებული იყო შერეული ტყის ქვედა საფარზე და ნაწილობრივ ხეებზე. რთული რელიეფის გამო კერებთან ვერ ხერხდებოდა სპეციალური ტექნიკის მიყვანა და მეხანძრე-მაშველებს ცეცხლის ინდივიდუალური აღჭურვილობის საშუალებით ქრობა უწევდათ.

სიტუაციის შეფასების შემდეგ გადაწყდა ქრობის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის ჩართვა. ვერტმფრენმა დღის განმავლობაში ხანძრის კერებზე წყლის 18 დასხმა განახორციელა და ქრობის სამუშაოები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული იყო ცოცხალი ძალა 50-მდე მეხანძრე-მაშველის შემადგენლობით. ასევე, პროცესში მონაწილეობდნენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერები.

იაირ ლაპიდი: „აშშ-ის მიერ იერუსალიმში საკონსულოს ხელახლა გახსნა ცუდი იდეაა“

ისრაელი აცხადებს, რომ იერუსალიმში საკონსულოს ხელახლა გახსნასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების გეგმა „ცუდი იდეაა“ და, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრ ნაფტალი ბენეტის ახალი მთავრობის დესტაბილიზაციის მიზეზი გახდეს.

ნაფტალი ბენეტი

– ვფიქრობთ, რომ ეს ცუდი იდეაა. იერუსალიმი მხოლოდ და მხოლოდ ისრაელის სუვერენული დედაქალაქია და, შესაბამისად, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს კარგი იდეაა. ვიცით, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს, მაგრამ, რადგან ეს ისრაელში ხდება, დარწმუნებული ვართ, ისინი ძალიან ყურადღებით მოგვისმენენ, – აღნიშნა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაირ ლაპიდმა.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ იერუსალიმთან დაკავშირებით ისრაელის მიმართ მხარდაჭერის გამოხატვის ნიშნად აშშ-ის საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა და საკონსულოც ამ მისიას მიაკუთვნა.

აშშ-ის ამ ნაბიჯს პალესტინელების მხრიდან პროტესტი მოჰყვა, რადგან ისინი იერუსალიმს მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქად განიხილავენ.

პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პირობა დადო, რომ აღადგენს კავშირებს პალესტინელებთან, მხარდაჭერა გამოუცხადა ორი სახელმწიფოს პრინციპზე დაფუძნებულ გამოსავალს და იერუსალიმში საკონსულოს ხელახლა გახსნა დააანონსა.

გერმანია თალიბანისგან ადამიანის უფლებების დაცვას ითხოვს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰაიკო მაასის განცხადებით, გერმანია, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, მზადაა, ქაბულში საელჩო ხელახლა გახსნას.

– ჩვენ მზად ვართ, თუ ეს პოლიტიკურად შესაძლებელი იქნება და უსაფრთხოების მდგომარეობა ამის საშუალებას მოგვცემს, – აღნიშნა მაასმა.

გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა თალიბანთან მოლაპარაკებების პირობებზეც ისაუბრა.

– თალიბანს შეუძლია, მოითხოვოს ის, რაც მათ სურთ. ჩვენ დავაყენეთ მკაფიო მოთხოვნები: ადამიანის უფლებების დაცვა, მოქალაქეებისთვის ქვეყნის დატოვების საშუალების მიცემა და ის, რომ ავღანეთი არც ერთი ტერორისტული დაჯგუფების თავშესაფრად არ უნდა იქცეს, – აღნიშნა მაასმა.

ინდოეთში ამოუცნობი დაავადებისგან 50 ადამიანი დაიღუპა, რომელთა უმრავლესობა ბავშვია

ინდოეთის უტარ პრადეშის შტატში ამოუცნობი ცხელებისგან მინიმუმ 50 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის უმრავლესობა ბავშვია.

ასობით ადამიანი საავადმყოფოებშია გადაყვანილი.

დაავადებულების უმრავლესობას აღენიშნება მაღალი ტემპერატურა, ოფლიანობა, სახსრებისა და თავის ტკივილი, გაუწყლოება და გულისრევა. ზოგიერთს ფეხებსა და მკლავებზე გამონაყარი უჩნდება.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ დაღუპულს კოვიდ 19 არ დადასტურებია.

ექიმები აცხადებენ, რომ პაციენტების დაღუპვის მიზეზი, სავარაუდოდ, დენგეა, ვირუსული ინფექცია, რომლის ძირითად გადამტანს კოღო წარმოადგენს.

მედიკოსები განმარტავენ, რომ ჰოსპიტალიზებული პაციენტების უმეტესობას თრომბოციტები შემცირებული აქვს, რაც დენგეს მძიმე ფორმისთვისაა დამახასიათებელი.

მსოფლიოში დაფიქსირებული დენგეს შემთხვევების დაახლოებით 70% აზიის ქვეყნებზე მოდის.

დაინფიცირებულ ბავშვებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი მოზრდილებთან შედარებით 5-ჯერ მეტია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



შვილის კუთვნილი პორნოს გადაყრისთვის მშობლებს კომპენსაციის გადახდა მოუწევთ

ამერიკის მიჩიგანის შტატის სასამართლომ ოჯახურ წყვილს შვილისთვის 29 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა მისი კუთვნილი პორნოს კოლექციის გადაყრისთვის.

43 წლის დევიდ ვერკინგის თქმით, ის მეუღლესთან განქორწინების შემდეგ 10 თვე ცხოვრობდა მშობლების სახლში. შემდეგ ის ინდიანას შტატში ქალაქ მანსიში გადავიდა. გადასვლის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ მისი ფილმების და ჟურნალების კოლექცია იყო დაკარგული.

– დევიდ გულახდილად გეტყვი, მე შენ დიდი სამსახური გაგიწიე, როდესაც ის ნაგავი მოგაშორე, – მისწერა მამამ დევიდს ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ წერილში.

კოლექციის ღირებულების განსაზღვრისთვის ჩატარდა ექსპერტიზა. გარდა ამისა, ოჯახური წყვილი ვალდებულია დევიდს აუნაზღაუროს 14,5 ათასი დოლარი, ადვოკატის მომსახურების ხარჯი. საერთო ჯამში წყვილს 40 ათას დოლარზე მეტის გადახდა მოუწევს.

პენსიონერმა ლატარიაში მოგებული მთელი ფული დაარიგა



ინგლისის დერბიშირის საგრაფოს მკვიდრმა, 72 წლის პენსიონერმა ქალმა კეტ სკოტმა საფოსტო ლატარიაში 140,9 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო და რამდენიმე საათში მთელი ფული დაარიგა.

პანდემიის დროს სკოტი ადგილობრივ ექიმებს ეხმარებოდა. მან ასეულობით სამედიცინო ხალათი შეკერა სამედიცინო დაწესებულებების და მოხუცებულთა სახლების თანამშრომლებისთვის.

– ეს მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, ვიცოდი, რომ მთელი ჩემი შრომა კეთილ საქმეს მოხმარდებოდა, – განაცხადა ბრიტანელმა პენსიონერმა.

მოგებული თანხის ნაწილით სკოტი ფოსტის ადგილობრივი განყოფილებისთვის დეფიბრილიატორის შეძენას და დაყენებას აპირებს. მან ასევე მოგებული ფული შვილიშვილებს გაუნაწილა.

განაწყენებულმა მთვრალმა პატარძალმა შუა ქორწილში პოლიციელს უკბინა

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ მემფისში მთვრალი პატარძალი ქორწილის მიმდინარეობამ გაანაწყენა და შუა ქორწილის დროს პოლიციელს უკბინა.

27 აგვისტოს მემფისის პოლიციამ მიიღო შეტყობინება საბანკეტო დარბაზის ავტოსადგომზე ჩხუბის შესახებ, რომელშიც დაახლოვებით 25 ადამიანი მონაწილეობდა. პოლიციის თანამშრომლების მონაცემებით, შემთხვევის ადგილზე ერთდროულად რვა ჩხუბს ჰქონდა ადგილი, რომელმაც დროთა განმავლობაში გადაინაცვლა იმ შენობაში, სადაც იმ დროს ქორწილი მიმდინარეობდა.

როდესაც პოლიციელებმა მოჩხუბრების დაკავება დაიწყეს, ქალმა მია პიუიმ ატეხა ყვირილი, რომ ეს მის ქორწილში დაიწყო ჩხუბი და ზეიმი ჩაიშალა. პიუი ამ დროს ძლიერი ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა, ჰქონდა სიცხე და თავბრუსხვევა. განაწყენებული ქალი აგრესიულიც გახდა და პოლიციელებს მისი დაკავება მოუხდათ. მან სამართალდამცავებს წინააღმდეგობის გაწევა დაუწყო და ერთ-ერთ პოლიციელს მხარზე უკბინა.

პიუის დამამძიმებელ გარემოებაში პოლიციელზე თავდასხმის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის და დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. ის პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლდა მისი საქმის სასამართლო განხილვამდე.

ახალშეუღლებულებმა ქორწილში არმისულ სტუმრებს ანგარიში გაუგზავნეს

ახალშეუღლებულებმა ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოდან, ანგარიში გაუგზავნეს იმ სტუმრებს, რომლებიც მათ ქორწილს არ დაესწრნენ.

44 წლის დაგ სიმონსმა და 43 წლის დედრა სიმონსმა 240 დოლარი მოსთხოვეს იმ სტუმრებს, რომლებმაც მათ შეატყობინეს, რომ ქორწილში მივიდოდნენ და აღარ მივიდნენ.

ახალშეუღლებულებმა ქორწილი იამაიკაში სასტუმროში გადაიხადეს, ხოლო თითოეულ სტუმარზე გაწეულმა ხარჯმა 120 დოლარი შეადგინა. წყვილს ავანსის შეტანა მოუხდა საქორწინო ზეიმისთვის, რომელზეც 100 მეტი სტუმარი იყო მიწვეული.

დაგ სიმონსის თქმით, მან და მისმა მეუღლემ ანგარიშის გაგზავნა არჩამოსული სტუმრებისთვის მას შემდეგ გადაწყვიტეს, როდესაც მრავალჯერ დასმული შეკითხვის შემდეგ, ჩამოვიდოდნენ თუ არა იამაიკაში მათ ქორწილში, ზოგიერთი მათგანი უმტკიცებდა, რომ უეჭველად ჩავიდოდა. ამასთან, მათ არც კი ინებეს, რომ მათთვის დაერეკათ, ან მიეწერათ, რომ ვერ მოახერხებდნენ ქორწილზე დასწრებას.

– ეს მე პირად შეურაცხყოფად აღვიქვი, – განაცხადა სიმონსმა.

წყვილმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში საქმე არა ფულში, არამედ წყენაშია მათ მიმართ, რომლებმაც ისინი ფაქტიურად არაფრად ჩააგდეს.

სამსახურიდან გათავისუფლებული ქალი სანაგვეზე ნაპოვნი ნივთებით გამდიდრდა

ამერიკის ტეხასის შტატში სასადილოში მომუშავე ქალმა სამსახურზე უარი თქვა და ათასობით დოლარი გამოიმუშავა ნაგავში ნაპოვნი ნივთების გაყიდვით.

32 წლის ტიფანი ში'რი ოთხი წელია, ნაგავში გადაყრილი ნივთების ძებნითაა დაკავებული. მისი თქმით, ეს იდეა უკარნახა ვიდეომ, რომელიც იუთუბიზე ნახა. მისი ნახვის შემდეგ ის წავიდა და პირველივე ცდაზე ნაგვის ბუნკერში 1,2 ათასი დოლარის კოსმეტიკური პროდუქცია იპოვა.

მას შემდეგ ქალი და მისი ქმარი რეგულარულად იქექებიან სანაგვეებში. მისი თქმით, იქ ნახულობენ ისეთ ნივთებს, რომლებიც სრულიად გამოსადეგია გამოსაყენებლად. მაგალითად, ერთხელ მან იპოვა სრულიად გამართული ყავის მადუღარა, რომლის ფასი 750 დოლარია. ავეჯი, რომელიც წყვილს სახლში უდგას, ასევე ნაგავსაყრელიდანაა წამოღებული.

გადაყრილ ნივთებს ქალი შემდეგ მეორადების ბაზრობაზე ყიდის. 2020 წელს ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი საქმიანობა ჩვეულებრივ სამსახურზე შემოსავლიანი იყო და მთლიანად სწორედ ამ საქმიანობაზე გადაერთო. ამ დროისთვის სანაგვეზე ნაპოვნი ნივთების გაყიდვით მისი შემოსავალი კვირაში ათას დოლარს შეადგენს.

ბებიამ ქალიშვილის თხოვნით საკუთარი შვილიშვილი გააჩინა

ბრაზილიის სანტა-კაროლინას შტატის ქალაქ ფლორიანოპოლისში 53 წლის როსიკლეია დე აბრეუ კარლსემი სუროგატი დედა გახდა და საკუთარი შვილიშვილი გააჩინა.

ქალის 29 წლის შვილი ინგრიდი იძულებული გახდა, ჯანმრთელობის პრობლემების გამო უარი ეთქვა ფეხმძიმობაზე. 2014 წელს მან ფილტვის არტერიის ტრომბოემბოლია და ვენების ტრომბოზი გადაიტანა. ამის გამო ექიმები შიშობდნენ, რომ შესაძლოა მას ფეხმძიმობა და მშობიარობა ვერ გადაეტანა.

მაშინ როსიკლეია დე აბრეუ კარლსემმა გადაწყვიტა, ქალიშვილის თხოვნით საკუთარი შვილიშვილი გაეჩინა. ის ხელოვნური განაყოფიერების გზით დაფეხმძიმდა და 19 აგვისტოს ერთდროულად ბებია და დედა გახდა. მან გააჩინა გოგონა, რომელსაც მარია კლარა დაარქვეს. მშობიარობას ინგრიდი და მისი პარტნიორი მამაკაცი ფაბიანო ჩავესი დაესწრნენ.

– ეს არის ოცნება, რომელიც ასრულდა. ეს ენით აუწერელი სიყვარულია. წარმოუდგენელია იმის აღწერა, თუ როგორია საკუთარი შვილის დაბადების ყურება, – განაცხადა ბავშვის მამამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბასილაშვილმა უბრძოლველად მოიგო

ამერიკის ღია პირველობის პირველი წრე ნიკოლოზ ბასილაშვილმა მეტოქის ჯანმრთელობის ხარჯზე გაიარა.

ჩვენებურის მეტოქე წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის პეტრ კორდას ვაჟი სებასტიან კორდა იყო.

ბასილაშვილმა თამაში მძლავრად დაიწყო. თითო საკუთარი გეიმის მოგების შემდეგ ჩვენებურმა ორჯერ აართვა ჩაწოდება მეტოქეს და 5:1 დაწინაურდა. მერე უკვე სეტის მოგება მარტივი საქმე იყო – 6:2.

თუმცა, კორდას ეტყობოდა, რომ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები ჰქონდა და თამაში უჭირდა.

ეს მეორე სეტის დასაწყისში უფრო ნათელი გახდა. ისევ თითო გეიმის გაცვლის შემდეგ ბასილაშვილმა ბრეიკი გაახერხა და მეტოქემ ამის შემდეგ თამაში შეწყვიტა.

საბოლოოდ, ჩვენებური მომდევნო წრეში გავიდა, სადაც ესპანელ პაბლო კარენო-ბუსტასა და ამერიკელ მაქსიმ გრესის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

გრიზმანი ბარსას დაემშვიდობა და ატლეტიკოს დაუბრუნდა

ლეო მესის შემდეგ ბარსელონა კიდევ ერთ ფეხბურთელს დაემშვიდობა – მადრიდის ატლეტიკოში ანტუან გრიზმანი დაბრუნდა. 30 წლის ფრანგი ფეხბურთელი ესპანეთის მოქმედი ჩემპიონების ღირსებას იჯარით დაიცავს.



ფრანგი ფეხბურთელი კლუბის ფანებს დაემშვიდობა.

– გემშვიდობებით და მადლობას გიხდით სიყვარულისთვის. ბარსელონის მაისურისთვის ყველაფერი გავიღე და დიადი კლუბის ისტორიის ნაწილი გავხდი. დანაღვლიანებული მივდივარ იმის გამო, რომ ვეღარ შევძლებ ტრიბუნებზე თქვენი ყოფნით კვლავაც ტკბობას, მაგრამ ვამაყობ, რომ ერთ-ერთი თქვენგანი ვიყავი.

გრიზმანი ბარსელონაში 2019 წელს სწორედ მადრიდის ატლეტიკოდან 120 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და კატალონიაში 2 სეზონი გაატარა. გრიზმანმა გასულ სეზონში კატალონიური კლუბის ღირსება ყველა ტურნირის 51 მატჩში დაიცვა, გაიტანა 20 გოლი და 13 პასი მიითვალა.

ბარსელონისა და ატლეტიკოს შეთანხმების მიხედვით, გრიზმანის იჯარის გახანგრძლივება კიდევ ერთი სეზონით ნებისმიერ დროს შესაძლებელია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ვილი სანიოლი პირველი მატჩის მოსაგებად ემზადება

2 სექტემბერს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს კოსოვოს წინააღმდეგ გამართავს.

კოსოვო ჩვენთვის ახალი მეტოქეა – აქამდე არ შევხვედრივართ. ის კი არა, ამ ქვეყანას არ ვაღიარებთ, მაგრამ უეფას წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ და ვალდებული ვართ, ვუმასპინძლოთ.

ორივე გუნდმა მატჩისწინა ვარჯიში ბათუმის ახალ არენაზე გამართა. ჩვენმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა, ხოლო კოსოვოს ნაკრებმა ლიდერი, მილოტ რეშიცა მოისაკლისა, რომელიც ინგლისური ნორვიჩიდან კოვიდრეგულაციების გამო ვერ ჩამოვიდა, რადგან საქართველო წითელ ზონაში იმყოფება.

ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა.

ვილი სანიოლი:

– რა თქმა უნდა, ცუდია, რომ უმაყურებლოდ ვითამაშებთ, მაგრამ ასეთია რეგულაციები და მას პატივი უნდა ვცეთ. ჩვენ ჯერ მხოლოდ კოსოვოსთან თამაშზე ვფიქრობთ. ჩვენ ყველა მოწინააღმდეგეს პატივს ვცემთ, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, მოვიგოთ და პირველი გამარჯვება მოვიპოვოთ ამ შესარჩევ ციკლში.

სიტუაცია ყოველთვის არ არის იდეალური. ბევრი ფეხბურთელი შორს თამაშობს და ადვილი არ არის, დროულად შემოგვიერთდეს. ერთ-ერთი ასეთი მათგანია ყაზაიშვილი. მისი გამოძახება მარტშიც და ივნისშიც მსურდა, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში მოქმედი რეგულაციების გამო აქამდე ვერ მოხერხდა მისი ნაკრებში თამაში. მე ვაკოს თავიდანვე გუნდის ძირითად წევრად მოვიაზრებდი.

კაშიამ, ხოჭოლავამ და კიტეიშვილმა ბოლო პერიოდში ბევრი მატჩი ჩაატარეს, ამიტომ ინდივიდუალურად ვავარჯიშეთ, თუმცა მატჩისწინა ვარჯიშზე სრულად დაიტვირთებიან.

ფეხბურთელების სათამაშო კონდიციები. როდესაც გყავს 25 ფეხბურთელი, რომლებიც საკუთარ კლუბებში მუდმივად თამაშობენ, ძალიან კარგია, თუმცა გვყავს ისეთებიც, რომლებიც ბოლო პერიოდში სათამაშო დროს ვერ იღებენ. მაგალითად, გიორბელიძე, აბურჯანია, ქვილითაია, კაჭარავა, გვილია და შენგელია, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

ჩაკვეტაძეს ბოლო ორი თვის განმავლობაში ბევრი არ უთამაშია. კარგია, რომ დაბრუნდა, მაგრამ 90 წუთის სათამაშოდ მზად არ არის, თუმცა ნაკრებში გუნდელებთან ჩამოსვლა ფეხბურთელს მეტ ძალას შემატებს.

წიტაიშვილი კარგი ფეხბურთელია, მასაც აკლია სათამაშო პრაქტიკა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გუნდს გააძლიერებს.

კიტეიშვილი უკეთეს გუნდს ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება. მე რომ რომელიმე კარგი გუნდის პრეზიდენტი ვიყო, აუცილებლად ვიყიდდი და, დარწმუნებული ვარ, ტოპჩემპიონატში თამაშს შეძლებდა.

ჩემთვის რთულია ქართველი ფეხბურთელების სატრანსფერო ზაფხულზე საუბარი, რადგან ფანჯარა ახლახან დაიხურა და შეფასების გაკეთება რთულია.

გიორგი მამარდაშვილი ძალიან კარგი მეკარეა და ვალენსიაში თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. ეს საქართველოს იმიჯიც არის. თუმცა, მე რაც მოვედი, გიორგი ლორია ნაკრების პირველი მეკარეა და ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ რამე ცვლილება გავაკეთო. თუმცა, თუ მამარდაშვილიც და ასევე ლაზარე კუპატაძე, რომელმაც რუმინეთთან შესანიშნავად ითამაშა, პროგრესს გააგრძელებენ, ყველაფერი შესაძლებელია. ასევე უნდა ვახსენოთ გიორგი მაკარიძეც. ასე რომ, მეკარის პოზიციაზე არ გვიჭირს.

რაც შეეხება ხვიჩა კვარაცხელიას, მას ტრავმა აწუხებს და ბოლო 2 მატჩი გამოტოვა. ჩვენ შემადგენლობაში იმის გამო შევიყვანეთ, რომ იმედი გვქონდა, გამოჯანმრთელდებოდა. თუმცა, კოსოვოსთან მის გარეშე ვითამაშებთ.

ბერნარდ შალანი:

– კოსოვოც და საქართველოც ევროპის ჩემპიონატთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ჩრდილოეთ მაკედონიამ ეს გეგმები ორივეს ჩაგვიშალა. ვფიქრობ, რომ ორივე გუნდი თანაბარი დონის არის და მოედანზეც ასეთ თამაშს ველოდები.

ჩვენ 3 ქულის მოსაპოვებლად ჩამოვედით. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გუნდი სრულად დაიხარჯება და ფეხბურთელები ყველაფერს ისე შეასრულებენ, როგორც ვგეგმავთ.

ფეხბურთი მაყურებლების გარეშე რთული წარმოსადგენია. არც ფეხბურთელებს სიამოვნებთ ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში, მაგრამ მსოფლიო დღეს ასე მოითხოვს და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ნებისმიერ გადაწყვეტილებას. თუმცა, ვფიქრობ, ამ ფაქტმა მოედანზე გასულ 22 ადამიანს ხელი არ უნდა შეუშალოს ის აჩვენოს, რაც შეუძლიათ.

გვაქვს გარკვეული პრობლემები ეპიდსიტუაციისა და ფეხბურთელების ტრავმების გამო, რის გამოც დებიუტანტების გამოძახება მოგვიხდა. ეს კარგი არ არის, მაგრამ ხელს არ შეგვიშლის, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ.

ჩვენი ჯგუფი საკმაოდ რთული და ძლიერია. მე ვუყურე საქართველოს ნაკრების თამაშებს. გყავთ კარგი და სწრაფი ფეხბურთელები, რიგ შემთხვევებში არ გაგიმართლათ. ჩვენც ორი მარცხით დავიწყეთ შესარჩევი ეტაპი, მაგრამ უკვე დადგა დრო, 3 ქულა ავიღოთ და, მიუხედავად საქართველოს ნაკრების სიძლიერისა, ამას მოედანზე შევეცდებით.

კომენტარები გააკეთეს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმაც.

ოთარ კიტეიშვილი:

– სანაკრებო თამაშების წინ ვცდილობ, ყოველთვის კარგ ფორმაში ვიყო. ასე არის ამჯერადაც, და, იმედი მაქვს, რომ ამ თამაშებშიც შევძლებ, გუნდს ძალიან დავეხმარო. უმაყურებლოდ რთულია თამაში, რადგან ის მხარდაჭერა არ გვექნება, რომლის ძალიან გვეიმედება, მაგრამ ახლა ვერაფერს შევცვლით.

გიორგი აბურჯანია:

– პირველ რიგში ჩვენი კონცენტრაცია კოსოვოსთან მატჩზეა მიმართული, რადგან სასწორზე უმნიშვნელოვანესი 3 ქულა დევს. შინ ვთამაშობთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გავიმარჯვოთ.

დავით ხოჭოლავა:

– მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ეს ჩემთვის პირველი თამაშია, რადგან წინა შეკრება კორონავირუსის გამო გამოვტოვე. მინდა, ამ შეკრებაზე ორმაგად დავეხმარო ნაკრებს და ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთ კარგ სტადიონზე ვითამაშებთ.

სანდრო ალთუნაშვილი:

– ძალიან დიდი ემოცია იყო, როცა გავიგე, რომ ნაკრებში ვიყავი გამოძახებული. უფრო მეტად გამიხარდა იმიტომ, რომ ბათუმში ვთამაშობთ. დასანანია, რომ მატჩი მაყურებლის გარეშე ჩატარდება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სამივე მატჩი სასურველი შედეგით დავასრულოთ.

სატურნირო ცხრილი:

1.ესპანეთი	3	2	1	0	6-3	7
2.შვედეთი	2	2	0	0	4-0	6
3.საბერძნეთი	2	0	2	0	2-2	2
4.საქართველო	3	0	1	2	2-4	1
5.კოსოვო	2	0	0	2	1-6	0

მესი ისევ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად რჩება

დასრულდა ზაფხულის ტრანსფერები და ყველაზე ხმაურიანი კრიშტიანუ რონალდუსა და ლეო მესის გუნდების გამოცვლა გამოდგა.

36 წლის პორტუგალიელმა თავდამსხმელმა რონალდუმ მანჩესტერთან გააფორმა კონტრაქტი. კრიშტიანუს ყოველკვირეული გასამრჯელო 531.000 ამერიკული დოლარი იქნება და პრემიერლიგაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება, თუმცა არა – მსოფლიოში.

ამ მხრივ კი არგენტინელი სუპერვარსკვლავი ლეო მესი ლიდერობს.

ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელების ათეული კი ასე გამოიყურება:

10.რობერტ ლევანდოვსკი (მიუნხენის ბაიერნი) – 483.000 დოლარი;

ათეულში ერთადერთი პოლონელი ბუნდესლიგის ერთადერთი წარმომადგენელია. ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელი და გერმანიის ყველა დროის ყველაზე შედეგიანი უცხოელი ფეხბურთელი.

9.დავიდ დე ხეა (მანჩესტერ იუნაიტედი) – 517.000 დოლარი;

ათეულის ერთადერთი მეკარე ინგლისურ გიგანტს მადრიდის ატლეტიკოდან შეუერთდა, შემდეგ კი ყველაზე მაღალანაზღაურებად მეკარედ იქცა.

8.კევინ დე ბრუინი (მანჩესტერ სიტი) – 531.000 დოლარი;

ბელგიელი სიტიში 2015 წლიდან თამაშობს და პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად ითვლებოდა, სანამ...

7.კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერ იუნაიტედი) – 531.000 დოლარი;

პორტუგალიელმა იუნაიტედში დაბრუნების შემდეგ „სახელფასო ლიდერობა“ დე ბრუინს ჩამოართვა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ რონალდუს ხელფასი სხვა კლუბებში და სხვადასხვა დროს გაცილებით მაღალი იყო.

6.კილიან მბაპე (პსჟ) – 566.000 დოლარი;

პსჟ-ს დიდი სამეულიდან კილიანს ყველაზე დაბალი ანაზღაურება აქვს, თუმცა მომავალში სხვა გუნდს უმიზნებს და, შესაძლოა, ათეულში ადგილი შეიცვალოს.

5.გარეთ ბეილი (მადრიდის რეალი) – 690.000 დოლარი;

ყველაზე გასაკვირი უელსელი ფეხბურთელის ამ სიაში მოხვედრაა და თანაც – წინა ადგილებზე. მისი რეპუტაცია კარგა ხანია დაეცა და ისეთი სარგებლიანიც ვერ არის, როგორიც ათეულის სხვა წევრები.

4.ანტუან გრიზმანი (მადრიდის ატლეტიკო) – 793.000 დოლარი;

არც გრიზმანის რეპუტაცია ამაღლდა ბარსელონაში, მაგრამ კატალონიელებმა იჯარით ისევ ატლეტიკოში გაუშვეს, გუნდში, სადაც უფრო სარგებლიანი იყო. ვნახოთ, რას მოიტანს დაბრუნება...

3.ლუის სუარესი (მადრიდის ატლეტიკო) – 793.000 დოლარი;

ესპანეთის გასული სეზონის ჩემპიონის მთავარი დამრტყმელი ძალა ამ ათეულში მესამე ადგილზე აღზევდა. თანაც უკვე ასაკშია. ვნახოთ, რა სარგებელს მოუტანს გუნდს წლევანდელ სეზონში.

2.ნეიმარი (პსჟ) – 836.000 დოლარი;

ბრაზილიელი ფეხბურთელი სიაში მეორე ადგილზე იმყოფება. აქამდე ამ პოზიციას რონალდუ იკავებდა.

1.ლიონელ მესი (პსჟ) – 1.325.000 დოლარი.

ახალი კლუბი იმავე სტატუსით. არგენტინელი ფეხბურთელი კვირაში 1 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს. არგენტინელი ვარსკვლავი ამ ყველაფერს თავისი დიდებულებით იმსახურებს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

პაატა გურასპაული: „მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს“

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ახალი გამოწვევა ელის: მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად 2 ეტაპის დაძლევა მართებს. პირველი საკვალიფიკაციო ჯგუფები შვეიცარიაში გამართული წილისყრის შედეგად შეირჩა.

ილიას ზუროსის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები 8 ჯგუფიდან ბოლოსწინა – ჯ ჯგუფში ესპანეთთან, უკრაინასთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან ერთად მოხვდა.

წილისყრის შედეგები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა შეაფასა:

– საქართველოს ნაკრების ბოლო წლების შედეგებიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს ხელეწიფება, პირველად ისტორიაში მოხვდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე.

რაც შეეხება წილისყრის შედეგებს, ვფიქრობ, ნორმალური ჯგუფი შეგვხვდა. ესპანეთის ნაკრები ევრობასკეტ 2022-ზეც ჩვენი მოწინააღმდეგე იქნება. ამ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს და შეიძლება წარმატებაზე ფიქრი.

უკრაინელებთან ძველი ნაცნობობა და მეგობრობა გვაკავშირებს. მწარე დამარცხებაც გვახსოვს ევროპის 2017 წლის ჩემპიონატზე, რომლის გამოც საქართველო ჯგუფიდან ვერ გავიდა. უკრაინასთან მოგებაზე შინაც ვფიქრობთ და სტუმრადაც. ჩრდილოეთ მაკედონია კი არ არის იმ კალიბრის გუნდი, რომელთანაც მოგება არ შეეძლება ჩვენს ნაკრებს.

ჩვენი მთავარი ამოცანა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლა არ არის. თუ გავიხსენებთ წინა მსოფლიოს შესარჩევს, მომდევნო ეტაპზე გავედით, მაგრამ იმდენად ცუდი შედეგით, რომ იქ უკვე შანსი არ გვქონდა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, პირველი სამი ფანჯრისას მაქსიმალურ შედეგებს მივაღწიოთ და ჩვენთან ერთად გასულ გუნდებთან მოპოვებული ქულები მეორე ეტაპზეც გავიყოლოთ.

დიდი ალბათობით, ჩვენგან გასული გუნდები შეხვდებიან იტალიის, რუსეთის, ისლანდიისა და ნიდერლანდების ჯგუფის 3 საუკეთესოს. მათთან მატჩების წინ მაქსიმალურად მეტი ქულით უნდა ვიყოთ, რათა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვქონდეს.

ასე რომ, წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო არ ვართ. ჩვენი მთავარი გამოწვევა არა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი, არამედ მსოფლიოს შესარჩევი ეტაპია. იმედი მაქვს, პირველად ჩვენი კალათბურთის ისტორიაში საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი რაიმე კონფლიქტის დროს; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ალალბედზე მოქმედება; 4. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 5. ქალაქი იმერეთში; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლანდიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. კანადის პრემიერ-მინისტრი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

თარაზულად: 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. შტატი აშშ-ში; 9. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 13. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 14. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. ქართველი მხატვარი; 19. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 21. ქალაქის თვითმმართველობა; 22. საფრანგეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდა; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სენატი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. მანიფესტი; 14. სნო; 16. საცივი; 18. უშტი.

თარაზულად: 1. კელარი; 4. ფასკუნჯი; 7. ღალატი; 8. სირტაკი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემბაზი; 17. ურო; 19. ბასილაშვილი; 20. სენტო; 21. დიზელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. პერგოლა; 10. ხონდრიტი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ხეოფსი; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

თარაზულად: 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. სპინოზა; 9. პირატი; 13. ბაშო; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. ვალიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 სექტემბერი

აშშ დოლარი — 3.1148	ევრო — 3.6817
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2841	100 რუსული რუბლი — 4.2647

ამინდის პროგნოზი 2 სექტემბრისათვის

ანსუ ფატი: „მზად ვარ, ბარსელონისთვის ყველაფერი გავიღო“



ბარსელონის ახალგაზრდა ფორვარდმა ანსუ ფატიმ განაცხადა, რომ მას სურს, ბარსელონას დაეხმაროს მოედანზე და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ტრავმის გამო გაცდენილი დრო აინაზღაუროს.

ფატის სურს, ბარსელონასთან ერთად ბევრი ტიტული მოიგოს:

– ტრავმის გამო ბევრი დრო გამიცდა და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბარსელონას სარგებლობა მოვუტანო. იმედი მაქვს, მწვრთნელის ნდობას ისევ დავიმსახურებ.

ჟერომ ბოატენგი ლიონში ითამაშებს

ბაიერნის ყოფილი ცენტრალური მცველი ჟერომ ბოატენგი კარიერას ლიონში გააგრძელებს. ბოატენგი უკვე საფრანგეთშია და ახალ გუნდთან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. კონტრაქტი ორწლიანი იქნება.

ბოატენგი უკვე 32 წლის არის და, შესაძლოა, ლიონი მისთვის ბოლო გაჩერებაც აღმოჩნდეს. ბაიერნში ბოატენგმა 229 შეხვედრა ჩაატარა და უამრავი ტიტული მოიგო, მათ შორის 9 ბუნდესლიგაც.

დანიელ ჯეიმსი: „ლიდსში თამაშს მოუთმენლად ველი“

მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა ფეხბურთელი დანიელ ჯეიმსი კარიერას ლიდსში გააგრძელებს. ჯეიმსის თქმით, ის ყოველთვის სიამაყით ატარებდა მანჩესტერის მაისურს და ლიდსში მისთვის კარიერის ახალი ეტაპი იწყება:

– არ მინდა, ვინმემ არასწორად გამიგოს, მაგრამ ლიდსში გაცილებით მეტი პერსპექტივა მექნება, ამიტომ მიხარია, რომ აქ გადმოვედი. მანჩესტერში გატარებული ყოველი წუთი ძალიან სასიამოვნოდ გამახსენდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გოგონამ დასატენად ჩართული ტელეფონი აიღო და მეხის დაცემისგან დაიღუპა

ბრაზილიის სანტარენის მუნიციპალიტეტში გოგონა მეხის დაცემისგან იმ დროს დაიღუპა, როდესაც დამტენზე შეერთებული ტელეფონი ხელში ეჭირა.

რადია ფერეირა დე ოლივეირა ჭექა-ქუხილის დროს საკუთარ სახლში იმყოფებოდა და ხელში დენზე შეერთებული მობილური ტელეფონი ეჭირა. ამ დროს სახლს მეხი დაეცა და გოგონამ დენის ძლიერი დარტყმა მიიღო.

ოჯახმა ექიმი გამოიძახა, თუმცა მანამდე თავადვე აღმოუჩინეს პირველი დახმარება და სასწრაფო დახმარების მოსვლამდე თავადვე გადაიყვანეს საავადმყოფოში. ექიმების მცდელობა, გოგონა გადაერჩინათ, უშედეგო აღმოჩნდა. საბოლოოდ მათ მხოლოდ მისი გარდაცვალების დაფიქსირება შეძლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 სექტემბრისათვის

ვერძი – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **კურო** – ნუ იაქტიურებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბუნებასთან რაც შეიძლება ახლოს იყავით. **ტყუპები** – მერკურის რეგრესული მოძრაობა ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. დღის პირველ ნახევარში პარტნიორებისგან მცირე უსიამოვნებას ელოდეთ. **კირჩხიბი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ლომი** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ. **ქალწული** – სერიოზულ პროვოკაციებს თავს ვერ დააღწევთ. საკუთარი აზრის გამოხატვისას ძალიან იფრთხილეთ. **სასწორი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – ერიდეთ პროვოკაციებს, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას. საკუთარი პრობლემებით დაკავდით. **მერწყული** – დაწყებული საქმე კონკრეტულ რეზულტატამდე მიიყვანეთ. ბავშვების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. **თევზები** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– ბებიაჩემი მასწავლიდა, რომ სიზმარში ფულის ნახვა ცუდის მომასწავებელიაო...

– მერე?

– წუხელის დამესიზმრა, რომ 3 მილიონი დოლარი ეყარა ჩემ წინ, მე კი კომბინეზონი მეცვა და დოლარებს გამალებით ვიტენიდი უბეში...

– და მერე?

– მერე ის, რომ გავიღვიძე, ზეწარი საბანი და ბალიში ტრუსიკში მქონდა ჩატენილი...

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– არ გინდათ განმარტოება?

– როგორ არ მინდა, მაგრამ შენ ყოველთვის მპოულობ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, თვალზე რა მოგივიდა?

– გუშინ ცოლმა ტელეფონი მესროლა და...

– რისთვის?

– ბიჭო, ტელეფონში ნაშუბის ნომრები ხომ ბიჭების სახელებით მაქვს ჩაწერილი, ჰოდა, გუშინ ვახოს სახელით სმს-ი მომივიდა, შენთან სექსი მომენატრაო. ეს რომ წაიკითხა ჩემმა ცოლმა, აიღო და ტელეფონი გამომიქანა, შე პი....ო, ქალებთან მაინც მიღალატეო...

●●●

კაცი ქალს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, ყვავილების თაიგული მიიღე?

– ჰო, მაგრამ კურიერმა ყვავილები სახეში შემომაყარა!

– სწორია, ეგ ჩემი კაპრიზი იყო!

●●●

კაფეში ოფიციანტი კლიენტს ეკითხება:

– რაიმეს ინებებთ, ჩაის, ყავას?

– მაგარი რა გაქვთ?

– კაკალი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ნანი ბრეგვაძე ბათუმში კონცერტს აღარ გამართავს

85 წლის მომღერალი ნანი ბრეგვაძე საიუბილეო კონცერტს ბათუმში აღარ გამართავს.

25 სექტემბერს დაგეგმილი საღამო საქართველოში ეპიდსიტუაციის გამოსწორებამდე გადადებულია.

ბიძინა კულუმბეგოვი „ფორმულაზე“ წამყვანი გახდა



ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი ტელეკომპანია „ფორმულას“ გუნდს შეუერთდა და წამყვანი გახდა.

11 სექტემბრიდან ბიძინა კულუმბეგოვი „ფორმულაზე“ ექიმების გუნდთან ერთად გამოჩნდება. ის „ჯანმრთელობის ფორმულას“ დათო ლოლაძესთან, ლევან ხარაშვილთან და ეკა სამხარაძესთან ერთად გაუძღვება და საზოგადოებას ყველა მნიშვნელოვან და საჭირო თემაზე ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის.

მუსიკოსი მიშა ჯაფარიძე ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა

ახალგაზრდა მუსიკოსი მიშა ჯაფარიძე ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა. „ნიჭიერთა ათწლედის“ პედაგოგის, ეროვნული სიმფონიური ორკესტრის წევრის შესახებ სამწუხარო ინფორმაცია მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა გაავრცელა:

– მიშო! ახლა რა ეშველება შენს ოჯახს, რა?! რა გვეშველება ჩვენ უშენოდ?!

დამირეკა, მანქანა უნდა ვიყიდოო, სულ სპორტული მანქანები ჩამომითვალა. მე ძალიან შემეშინდა, რადგან არ მომეწონა ეს ახირება, არასოდეს არ ჰყოლია სწრაფი მანქანა, სულ პრიუსები ჰყავდა.

მამის გარდაცვალება ძნელად გადაიტანა და მეგონა, გადაუვლიდა ეს აკვიატება.

ჩემი მიშო ამ მანქანამ იმსხვერპლა. ვერ ვიჯერებ, ვერც ვიაზრებ. წლების განმავლობაში, როდესაც ბენდის შეკრებას ვიწყებდი, პირველი ჩემს მიშოსთან ვრეკავდი, მიშო თუ მყავდა, მთებს გადავდგამდი! მიშო თუ იყო, დედას ვუტირებდი, ისეთ რამეებს გავაკეთებდი. ხვალ რომ დამჭირდეს ბენდი, რას ვიზამ? არაფერს. მიშო აღარ მყავს, ჩემი უნიჭიერესი ბიჭი!

მიშო, მიყვარხარ! ვიცი, ვეღარ შეგაჩერებ, მშვიდობით.

მცხეთის სამთავროს მონასტერში სამარხი ბულდოზერით მოანგრიეს

მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში, იღუმენია ქეთევანმა ბულდოზერით სამარხი მოანგრია.

ამის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– ამ ათი წლის წინ სამთავროს მონასტრის იღუმენია ქეთევანმა ბულდოზერი მიაყენა ტაძრის დასავლეთით არსებულ მცირე ფერდობს, სადაც სასაფლაო იყო, მახსოვს რამდენიმე ძველი საფლავის ქვა, ალბათ ორი-სამი, და მოთხარა, რათა იქ საეკლესიო მაღაზია და მუზეუმი აეშენებინა. არც შესაბამისი ნებართვა აუღია უწყებებისგან, არც არქეოლოგები მიუწვევია, აი, ასე გლიჯა ბულდოზერი და მოთხარა საქართველოს 17-საუკუნოვანი ქრისტიანობის მოწმე სამთავროს მიწა.

მერე, აკლდამა რომ გამოჩნდა და ბულდოზერმა კუთხე მოუნგრია, მაშინ კი ჩაერია სააგენტო და არქეოლოგები მიავლინა. მათ შეისწავლეს აკლდამა. ტერიტორიაზე სხვა კულტურული ფენებიც ამოვიდა. დედა ქეთევანმა კი ამის შემდეგ ბულდოზერით ბოლომდე დაანგრია აკლდამა და მაღაზია-მუზეუმიც ააშენა.

ფოტოები არქეოლოგ ქეთი დიღმელაშვილის გადაღებულია, რომელმაც შეისწავლა ბულდოზერით მონგრეული სამარხი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ათასობით უზარმაზარი აღგზნებული ობობა სახლებში შეიჭრა

დიდ ბრიტანეთში ათასობით აღგზნებული ობობა შეწყვილების სეზონის დროს საცხოვრებელ სახლებში შეიჭრა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ობობები სახლებში შეჭრას სექტემბრის დასაწყისიდან იწყებენ და ეს ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება, როდესაც გარეთ ნესტი და სიგრილეა, ხოლო შენობებში, პირიქით – სითბო და სიმშრალე. ამ დროს ფეხსახსრიანები პარტნიორის ძებნით არიან დაკავებული.

წლის სხვა დროსაც ობობები ხშირად ბინადრობენ ადამიანების საცხოვრებელში, თუმცა ისინი ისე შესამჩნევები არ არიან, ვინაიდან საკუთარ ქსელს არ ტოვებენ. მაგალითად, მდედრს შეუძლია, მთელი ცხოვრება ერთ ადგილას გაატაროს, ხოლო შეწყვილების დროს სწორედ მამრები იჭრებიან ბინებში მდედრის მოსაძებნად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბაქტერიების მშთანთქმელი დამშლელი მიკროორგანიზმი; 2. ბრინჯით, ხახვით, ტყემლითა და მწვანილით შეზავებული მოხარშული ხორცის კერძი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ნავთობის საბადო კახეთში; 9. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ხელოვნების, მეცნიერების აღორძინება; 14. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 16. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 1. ციტრუსოვანი ხილი; 4. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად; 7. მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი; 8. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 12. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს; 13. ფულის გამოშვება; 15. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 17. წელიწადის მეთორმეტედი; 19. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 20. პირობითი ნიშნების სისტემა საიდუმლო წერისთვის; 21. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა